დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , საქართველო

წევრები:

ციცინო თურქაძე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თინათინ გოგნაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

ნანი ყავლაშვილი, თბილისის სახელწმიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

მარიამი ალექსიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2024

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან /

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	საქართველოს უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი, 0171, საქართველო
ვებ-გვერდი	https://www.ug.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	№651542 30/06/2021
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	01/07/2027

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	80
ბაკალავრიატი	35
მაგისტრატურა	31
ერთსაფეხურიანი	2
დოქტორანტურა	11
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1
ქართულ ენაში მომზადების	0
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	75
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	2
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	0
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	21

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	8510	6638	7414
ბაკალავრიატი	4441	4172	5023
მაგისტრატურა	360	671	1695
ერთსაფეხურიანი	3616	1687	481
დოქტორანტურა	88	100	89
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	5	7	52
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	0	0	1
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	4451	3424	740

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის $ჰ^{48}$ პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	4	0	4

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	282
- პროფესორი	61
- ასოცირებული პროფესორი	181
- ასისტენტ პროფესორი	18
- ასისტენტი	22
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	24
- მეცნიერი	34
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	257
- აფილირებული პროფესორი	60
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	157
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	18
- აფილირებული ასისტენტი	21
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	18
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	22
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	827
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	267

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	24927,77
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	10254,34
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	14673,43

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<table>
<tr><td colspan="2">აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

2023 წლის 7 და 8 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი საქართველოს უნივერსიტეტში. ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით. 1 დეკემბერს ცენტრმა უზრუნველყო ექსპერტთა წინასწარი შეხვედრა, სადაც მოხდა ექსპერტებს შორის უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მოსაზრებების გაზიარება და კითხვების ფორმირება. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ყველა დაინტერესებულ მხარეს და დაათვალიერა უსდ-ს მატერიალურ ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში შეაფასა ყველა სტანდარტი.</td></tr>
<tr><td colspan="2">მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

■ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: ____07 – 08 დეკემბერი_____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>1.უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, 1.1 უსდ-ის მისია

უზრუნველყოფილ იქნეს, რომ განათლება და კვლევა მუდმივად უნივერსიტეტის ბირთვს წარმოადგენდეს, როგორც ეს მსოფლიოს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშია.</td><td>რეკომენდაცია შესრულებულია.
უსდ-ს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2027 წლებისათვის. სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში განსაზღვრულია ოთხი პრიორიტეტი: სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პრესტიჟის და რეპუტაციის ზრდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა, სტუდენტებში ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება და მათ შექმნაში მონაწილეობა, საუნივერსიტეტო კამპუსის ინფრასტრუქტურის განვითარება. სტრატეგიული გეგმის ანალიზიდან ჩანს, რომ განათლება და კვლევა მნიშნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს უნივერსიტეტისათვის.</td></tr>
<tr><td>1.უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, 1.1 უსდ-ის მისია

სათანადო ყურადღება დაეთმოს ხარისხის კულტურას, კვლევას, სტუდენტზე</td><td>რეკომენდაცია შესრულებულია.
უსდ-ს ცოდნის წარმოება და „ცოდნის წარმოებას“ აიგივებენ „ცოდნის შექმნასთან“რაც ვფიქრობთ კველვასთან არის დაკავშირებული. უბრალოდ</td></tr>
</table>

ორიენტირებულ სწავლას და ინტერნაციონალიზაციას, მისიის განაცხადისა და შესაბამის პოლიტიკების გადახედვისას, ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG 2015) შესაბამისად.	სხვა სიტყვები არის ფორმულირებული. ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანამანათლებლო საგანამანათლებლო პროგრამების შექმნა სტანდარტის ერთ-ერთი მოტხოვნა, რაც ხარისხტან არის დაკავშირებული, ხოლო ინსტიტუციონალური ეფექტიანობა არის უწყვეტი ციკლი პროცესების, პროგრამებისა და სერვისების დაგეგმვის, შეფასების, ანალიზისა და გაუმჯობესებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ უნივერსიტეტის მისიას და ხედვას. დაწესებულებაში შეფასება აძლიერებს მის შესაძლებლობებს ინფორმაციის მიწოდებისა და ცვლილებების შეფასებას მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების გზით, რაც თავისთავად გულისხმობს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. გარდა ამისა მისიაში ვკითხულობთ (ამონარიდი ციტატიდან) საკუთარი მაგალითით წვლილი შეგვაქვს კაცობრიობის საკეთილდღეოდ. კაცობრიობის საკეთილდღეოდ წვლილის შეტანა დრევანდელ გლობალურ სამყაროში ინერნაციონალიზაციის გარეშე რთულია.
1. **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, 1.1 უსდ-ის მისია** ფორმალიზებული გახდეს მისიისა და ხედვის განახლების ციკლი და უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა რედაქციის ხელმისაწვდომობა (გამოქვეყნება) და ისტორია (თარიღი).	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია,** გამიმდინარე იქიდან, რომ უსდ აქვს მეთოდოლოგია, თუმცა ძველ და ახალ მისიას შორის მიმართება მკაფიოდ არ არის წარმოჩენილი.
1. **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, 1.1 უსდ-ის მისია** სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის შემუშავება უფრო მეტად დაეყრდნოს SWOT და PEST ანალიზების შედეგებს, განსაკუთრებით სამომხმარებლო სეგმენტზე პოზიციონირების ზრდის და სტუდენტებში უნივერსიტეტისადმი ინდიფერენტობის კლების მიზნით, ასევე, მაქსიმალურად დაეყრდნოს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის მიზნით;	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტი მუშაობს საერთაშორისო რეპუტაციულ სარეიტინგო კომპანიების მიერ შემუშავებულ რეიტინგებში პოზიციის გაუმჯობესებაზე. ამასთან, მუშაობს ლოკალურ ბაზარზე პრესტიჟის ამაღლებაზე. უნივერსიტეტი მკვეთრ დიფერენცირებას ახდენს 1. სწავლების მაღალი ხარისხით (ქვეყნის საუკეთესო სამეცნიერო-აკადემიური პერსონალი, თანამედროვე/ინოვაციური სასწავლო პროგრამები, მომთხოვნი გარემოთი, დასაქმების მაღალი პერსპექტივა), 2. ინოვაციურობით, 3. ინტერნაციონალიზაციით, 4. ლიბერალიზმით და 5. ინფრასტრუქტურით.
1. **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, 1.1 უსდ-ის მისია** პანდემიის შემდგომი პერიოდისთვის შემუშავდეს ელექტრონული/ვირტუალური გარემოს ეფექტური გამოყენების სტრატეგია სააუდიტორიო საათებისა და ინფრასტრუქტურის ეფექტური გამოყენების ამოცანიდან გამომდინარე განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდილი საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით.	**რეკომენდაცია შესრულებულია**. უსდ-მ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ელექტრონული/ვირტუალური გარემოს ეფექტური გამოყენების სტრატეგია. სტრატეგიის ვკითხულობთ ,,საქართველოს უნივერსიტეტში, განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ, დაინერგა სხვადასხვა ელექტრონული / ვირტუალური საშუალება, რომელიც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების და კვლევის უწყვეტობის უზრუნველყოფას. სასწავლო პროცესის ციფრულად წარმართვისთვის გამოიყენება ონლაინ

	სწავლის პლატფორმები, მათ შორის (LMS) Online UG, My UG, რომელთა საშუალებითაც ლექტორებს აქვთ წვდომა თავიანთ ჯგუფებზე, რაც აძლევს მათ იმის საშუალებას, რომ გაასწორონ საგამოცდო ნაშრომები და საბოლოოდ ასახონ შეფასებები“.
1. **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, 1.2 სტრატეგიული განვითარება** ახალი სტრატეგია მეტად მკაფიოდ დაუკავშირდეს წინა სტრატეგიას, რათა უკეთესად მოხდეს მიღწეული პროგრესის გააზრება.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ექსპერთა ჯგუფმა შეისწავლა როგორც 2023-2030 წლის სტრატეგიული გეგმა ასევე ძველი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები. შედეგად გამოვლინდა, რომ ახალი სტრატეგიული გეგმა დაკავშირებულია ძველ სტრატეგიულ გეგმასტან ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა განათლება, მეცნიერება და ინფრასტრუქტურა.
1. **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, 1.2 სტრატეგიული განვითარება** შემუშავდეს პოლიტიკის დოკუმენტები და წლიური გეგმები ინტერესის თითოეული სფეროსთვის, ამგვარად, კარგად იქნეს გამოყენებული შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებით ეს დოკუმენტები გახდეს ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის.	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** ანგარშში აღნიშნულია, უსდ მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას სარგებლისა და რესურსული ხარჯების შეპირისპირების ალტერნატიული დანახარჯებიდან გამომდინარე. თუმცა უსდ-ს შემუშავებული აქვს კვლევის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ხოლო ვებგვერდზე დოკუმენტების განტავსება კვლავ რჩება გამოწვევად.
1. **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, 1.2 სტრატეგიული განვითარება** მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ხელმისაწვდომი ანალიზები, როგორიცაა SWOT და PEST ანალიზები, სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღებისთვის.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უსდ-ს მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების გეგმაში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია SWOT ანალიზი. SWOT-ის და სტრატეგიული მიზნების შესწავლიდან ჩანს, რომ სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება მოხდა SWOT ანალიზის საფუძველზე. სუსტი მხარეების დასაძლევად შემუშავებულია სტრატეგიული მიზნები, ქვემიზნები და მიღწევის სტრატეგიები.
2. **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, 1.2 სტრატეგიული განვითარება** ხელახლა განისაზღვროს მაღალი ხარისხის განათლება და შემუშავდეს უფრო რეალისტური ხედვა უნივერსიტეტის პოზიციისა და შესაძლებლობების შესახებ.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** მაღალი ხარისხის განათლების მიზნით უსდ გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საერთაშრისო აკრედიტაციის მიღებას
1. **უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა.** გაანალიზდეს გადაწყვეტილებების მიღების შიდა პროცესების ეფექტურობა და ქმედითობა, კარგად დაბალანსებულ „ზემოდან-ქვემოთ“ (top-down) და	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ

„ქვემოდან-ზემოთ“ (bottom-up) მეთოდებზე ყურადღების გამახვილებით და ეს განმტკიცდეს შემოწმებისა და გაწონასწორების ძლიერი სისტემით.	ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს სხვადასხვა ადმინისტრაციული თანამდებობის ერთი პირისთვის შეთავსების პოლიტიკას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა აღნიშნული თანამდებობები ერთმანეთთან იერარქიულად არის დაკავშირებული.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2022 წლიდან უნივერსიტეტმა რეკომენდაციის შესაბამისად განახორციელა ცვლილებები თანამდებობრივ გადანაწილებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციაზე დანიშნულია პირი, რომელიც არ ითავსებს სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობას. • ფინანსების დარგში პრორექტორის თანამდებობას გაემიჯნა ფინანსური სამსახურის უფროსის პოზიცია და ამ პოზიციაზე დაინიშნა სხვა პირი. • საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერად დაინიშნა შესაბამისი პირი, შედეგად ეს პოზიცია გაემიჯნა საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და საერთაშორისო ურთიერთოებების მიმართულებით პრორექტორის მოვალეობებს. • 2023 წლიდან სხვადასხვა პირია დანიშნული ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დირექტორისა და გლობალური და ევროპული ჯანდაცვის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის დირექტორის პოზიციებზე.
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა. რეკომენდებულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა სრულ შესაბამისობაში იყოს მართვის დებულებასთან.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულებაში, რომელიც აღწერს ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესს, შეტანილია ცვლილებები 2022 და 2023 წლებში.
2 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უზრუნველყოფილ იქნეს, რომ PDCA (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლი, როგორც ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი, იყოს სრულად რეალიზებული, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.	**რეკომენდაცია შესრულებულია** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. რეკომენდაცია წარმოადგენს მუდმივად გასახორციელებელ სამუშაოს. რეკომენდაციის შესრულების მიმართებით უნივერსიტეტში ინდივიდუალურად ყველა პროგრამისთვის შექმნილია პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც არის კოლეგიური ორგანო. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოში მუდმივმოქმედი წევრები არიან: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, აკადემიური

	პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი. უნივერსიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს 80 საგანმანათლებლო პროგრამა.
2 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები გაგრძლედეს მუშაობა ანგარიშვალდებულებასა და გაუმჯობესებას შორის ბალანსის დაცვაზე.	**რეკომენდაცია შესრულებულია** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.
2 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ჩაიდოს ინვესტიცია ხარისხის კულტურის კიდევ უფრო განვითარებაში, მისიის განაცხადის გადახედვით და ხარისხის კულტურის ცნებაზე დისკუსიის დაწყებით.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და ხარისხის კულტურის შესახებ საკუთარი ხედვა და განაცხადი ასახა დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამის დებულება“, რომელიც წარმოადგენს საუნივერსიტეტო საბაზისო ჩარჩო დოკუმენტს საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. ხარისხის კულტურის შესახებ განაცხადი ერთმანეთთან აკავშირებს უნივერსიტეტის მისიით გაცხადებულ ღირებულებებს და ხარისხის კულტურას, რისთვისაც გადამწყვეტია საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და ყველა დაინტერებული პირის ერთობლივი ძალისხმევა.
2 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ ყველა ინფორმაცია იყოს მარტივად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გამჭვირვალობა და მხარეთა მაქსიმალური ჩართულობა. განსაკუთრებით სტუდენტებს უნდა შეეძლოთ, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება სტუდენტთა ჩართულობის შესახებ.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სუ-ის ვებ-გვერდზე განთავსებულია საინფორმაციო ველი https://ug.edu.ge/public/ge/quality-about-us, სადაც მოცემულია ინფორმაცია ხარისხის შიდა/გარე უზრუნველყოფაზე და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესახებ, განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის მენეჯერების შესახებ.
2 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების PDCA ციკლის მიხედვით განხორციელებისთვის რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობის გაზრდა სათანადო რაოდენობის კვალიფიციური კადრებით.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდის პროცესის დროს ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2021 წლის მდგომარეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედგებოდა 4 თანამშრომლისგან, რომელთაგან ორი ითავსებდა სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობასაც. არსებული მდგომარეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დამატებულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 8 პოზიცია. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 6 სკოლა (ფაკულტეტი), რომელიც წარმოადგენენ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობის გაზრდა მოხდა აღნიშნულ სკოლებში ხარისხის

	უზრუნველყოფის მენეჯერის პოზიციის დამატებით.
2 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები რეკომენდებულია კონტინგენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად.	**რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული.** „უნივერსიტეტში შემუშავებულია კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც აღწერილია ,,საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში", თუმცა დოკუმენტში მოცემული ინდიკატორები არ ითვალისწინებს მატერიალურ რესურსს (გარდა ფართისა), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობას, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობები არის ზოგადი, საუნივერსიტეტო და არ განსხვავდება ცალკეული პროგრამების/დარგების სპეციფიკის მიხედვით. უფრო დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კონტინგენტის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუზე არ იყო ნათელი, თუ რა გათვლებს ეფუძნებოდა კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს კონტინგენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმი, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად". ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო მტკიცებულებები, საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის პრაქტიკაში გამოყენების და შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა შეფასება-ანალიზი ისეთი საკვანძო პარამეტრების მიხედვით, როგორიცაა მატერიალური ბაზა-სტუდენტის განთავსება, სალექციო, პრაქტიკული და ლაბორატორიული სივრცეების, კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობები.
2 უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, 2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ინვესტიცია ჩაიდოს ნდობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო საზოგადოების შექმნაში და გაუქმდეს დოკუმენტი ორგანიზაციული კულტურისა და დრეს-კოდის შესახებ.	**რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.
3. საგანმანათლებლო პროგრამები, 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2021 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და

გათანამედროვდეს პროგრამების საგანმანათლებლო ფორმა ინოვაციური იდეების განხორციელებით, როგორიცაა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, მულტიდისციპლინური პროგრამები და მოქნილი სასწავლო გზები.	ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ინსტიტუცია კვლავ აგრძელებს მუდმივ განვითარებას და მუშაობას. მუდმივად ხდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებში თითოეული სკოლის წარმომადგენლის დატრენინგება. 2023 წელს ჩატარებულია ტრენინგები და ვორქშოპები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, რაც დასტურდება ინტერვიუებითაც.
3.საგანმანათლებლო პროგრამები, 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება ინვესტიცია ჩაიდოს პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესებში მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისთვის.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.
3 საგანმანათლებლო პროგრამები, 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება სტუდენტების რაოდენობის გაზრდის პარალელურად უნდა მოხდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ინფრასტრუქტურის განახლება.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პირველ კორპუსში არსებულ 6 სადგურს კიდევ შეემატა ახლად გახსნილ კორპუსი (პ. ქავთარაძის ჩიხი 4) სადაც OSCE-ის გამოცდების ჩასატარებლად დამატებითი 12 სადგური არის განთავსებული. თითოეული ოთახი სრულად აღჭურვილია მანეკენებით, სიმულატორებით და სხვადასხვა სამედიცინო ხელსაწყოებით, რაც გათვალისწინებულია სილაბუსების მიხედვით.
3 საგანმანათლებლო პროგრამები, 3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამის სილაბუსში განიმარტოს და განახლდეს ინფორმაცია სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესახებ.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2021 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დამატებით ნაბიჯები გადადგა ინსტიტუციამ, კერძოდ კიდევ ერთხელ მოხდა პროგრამების სილაბუსების გადახედვა, რითაც მტკიცდება, რომ სასწავლო მიზნები და სწავლის შედეგები სრულიად შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

4 საგანმანათლებლო პროგრამები, 3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი საქართველოს უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ენის შესწავლის კუთხით, რადგან მედიცინის სტუდენტებმა უნდა შეიძინონ კარგი კომუნიკაციური უნარები პაციენტებთან ურთიერთობისთვის.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. შემუშავდა ქართული ენის სწავლების მოდიფიცირებული სასწავლო კურსები, რომელთა კონცეფცია აგებულია ენა სპეციალური მიზნებისათვის (LSP) მიდგომაზე. 2023 წლიდან მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელდა საპილოტე ცვლილება პროგრამის შემდეგ კურსებში: Basics of Disease and Diagnosis I და Basics of Disease and Diagnosis II. რაც მოიცავს წარმოდგენილ დისციპლინებში ქართული ენის სწავლების ინტეგრირებას.
3.საგანმანათლებლო პროგრამები, 3.3 სწავლის შედეგების შეფასება საქართველოს უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს წარმატების მაჩვენებლის მკაფიო მიზნების დასახვა მისი ამბიციების შესაბამისად.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, ჩანს, რომ სამივე საფეხურის პროგრამებში შეფასების სისტემა თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.
3.საგანმანათლებლო პროგრამები, 3.3 სწავლის შედეგების შეფასება გადაიხედოს სამედიცინო განათლების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება და კარგად იქნეს გამოყენებული OSCE, SCO, Mini-Cex და ა.შ.	2022წელს მოცემული **რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.
5 უსდ-ის პერსონალი, 4.1. პერსონალის მართვა ფორმალიზდეს პერსონალის ტრენინგი, საგანმანათლებლო უნარ-ჩვევებზე მკაფიო აქცენტით. გახდეს სასწავლო კურსები სავალდებულო, უფრო ინტენსიური და პერსონალიზებული.	**2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. მოცემული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებშიც, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ რეკომენდაციის შესაბამისი აქტივობები მდგრადაა დანერგილი საუნივერსიტეტო პრაქტიკაში. 2022 და2023 წელს უნივერსიტეტმა ჩაატარა/დააფინანსა 50-მდე შინაარის ტრენინგი, რომელშიც ჩაერთო 500-ზე მეტი თანამშრომელი.
4. უსდ-ის პერსონალი, 4.1. პერსონალის მართვა	**2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ

წინასწარ განისაზღვროს ინსტიტუციური მოლოდინები პერსონალის მიმართ და გაზიარდეს ის თანამშრომლებთან; ხელმისაწვდომი გახდეს საჭირო რესურსები თითოეული თანამშრომლისთვის, მათი მხრიდან დაწესებულების მოლოდინის გასამართლებლად.	ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. მოცემული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებშიც, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ რეკომენდაციის შესაბამისი აქტივობები მდგრადაა დანერგილი საუნივერსიტეტო პრაქტიკაში. უნივერსიტეტში 2024 წლის თებერვალში დაგეგმილია პროფესურის ატესტაცია, რომლის შესაბამისი ინფორმაცია სრულადაა ხელმისაწვდომი თანამშრომლობისათვის.
4. უსდ-ის პერსონალი, 4.1. პერსონალის მართვა სამედიცინო განათლების მოწვეული პერსონალისთვის (ექიმები) სავალდებულო გახდეს ტრენინგი პრაქტიკული უნარების შეფასების შესახებ.	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.** საქართველოს უნივერსიტეტში 2022-2023 წლებში განხორციელებულია ტრენინგები, რომელიც მოიცავს პედაგოგიური, ადმინისტრაციული, კვლევით და ლიდერული უნარების განსავითარებელ ღონისძიებებს უნივერსიტეტის ყველა პროგრამის (მათ შორის მედიცინის) პერსონალისთვის. სუ-ს განაცხადით, რეკომენდაციის შესაბამისად, მედიცინის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის სავალდებულო გახდა 2 წელიწადში არანაკლებ ერთხელ სწავლების მეთოდებში და მულტიკულტურული უნარების მართულებით გადამზადება, საქართველოს უნივერსიტეტი დაფინანსებით. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა ამ განაცხადის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება. შესაბამისად, რეკომენდაციის შესრულება კვლავ რჩება უნივერსიტეტის გამოწვევად.
4. უსდ-ის პერსონალი, 4.1. პერსონალის მართვა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ პერსონალის მუშაობის შეფასება და კმაყოფილების კვლევები ხორციელდება რეგულარულად, ხოლო შედეგები ყურადღებით გაანალიზებულია და გამოიყენება, როგორც უნივერსიტეტის საერთო საქმიანობის შემდგომი განვითარების ინსტრუმენტი.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ჩატარებული ინტერვიუირებით დასტურდება, რომ 2022-2023 წლებში დაწესებულებამ ჩაატარა პერსონალის მუშაობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევები, გაანალიზა მიღებული შედეგები, გასაუმჯობესებელი მხარეები და განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები.
4. უსდ-ის პერსონალი, 4.1. პერსონალის მართვა რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მის მიერ დადგენილ სამიზნე ნიშნულებს აკადემიური პერსონალის, პროგრამებისა და სტუდენტების თანაფარდობების მხრივ და კორექტირება შეიტანოს მასში სამიზნე ნიშნულების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიზნით;	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების კონტიგენტის დაგეგმვის საკითხების შეფასებისას უპირველესად ხელმძღვანელობს საქართველოს უნივერსიტეტის 2021 წლის საავტორიზაციო თვითშეფასებასა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულებით. ამ დოკუმენტებით დაწესებულება აცხადებდა, რომ სამიზნე ნიშნულების მიღწევა და თანაფარდობების შენარჩუნება განსაზღვრული ჰქონდა 2027 წლამდე.

4. უსდ-ის პერსონალი, 4.1. პერსონალის მართვა პროგრამების შემუშავებისა და მათი დამატების გადაწყვეტილების მიღებისას რეკომენდებულია დაწესებულება იხილავდეს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებისა და ცვლილების პერსპექტივებს. ავტორიზაციის განაცხადში მითითებული საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები და მათი შენარჩუნება უნდა გახდეს ახალი პროგრამების დამატებისა და კონტინგენტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რაც რეკომენდებულია აისახოს შესაბამის საუნივერსიტეტო რეგულაციებში.	**რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული.** უნივერსიტეტმა რეკომენდაციის გათვალისწინებისათვის სპეციალურ მარეგულირებელ დოკუმენტებში გააკეთა ჩანაწერი, რომ პროგრამების დამატება-განახლების ან პერსონალის დამატების საკითხებზე კრიტერიუმის სახით ითვალისწინებს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულებს. თუმცა ამ ნიშნულების შეფასების (2022 და 2023 წლისათვის), გადახედვისა და გაანალიზების პროცესი არ ჩატარებულა. ექსპერტთა ჯგუფის ეს რეკომენდაცია კვლავ რჩება სუ-ს შემდგომი მუშაობის საკითხად.
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები, 5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები უზრუნველყოფილ იქნეს, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების სრული განხორციელება და მათ შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობა.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** საქართველოს უნივერსიტეტი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას კონკრეტული სერვისებისა და ღონისძებების შესახებ. სტუდენტთა ონლაინ პლატფორმა MY UG-ზე სტუდენტი ყოველდღიურად იღებს ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ. ამას გარდა, სტუდენტს მთავარ გვერდზე აქვს სპეციალური კალენდარი, სადაც ისახება ინფორმაცია მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. სტუდენტის მხრიდან ონლაინ პლატფორმაზე მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის აუცილებლობა გამყარებულია მათთან დადებული ხელშეკრულებითაც.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. 6.1 კვლევითი საქმიანობა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ კვლევის მეთოდოლოგია და სამეცნიერო საქმიანობა სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის, მათ შორის სამედიცინო განათლების სფეროში.	2022 წელს მოცემული **რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. 6.1 კვლევითი საქმიანობა საჭიროების შემთხვევაში, დიფერენცირდეს ფუნდამენტური (სამეცნიერო)და გამოყენებითი კვლევები.	2022 წელს მოცემული **რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. 6.1 კვლევითი საქმიანობა უზრუნველყოფილ იქნეს, სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობა უნივერსიტეტის კვლევით	2022 წელს მოცემული **რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

საქმიანობაში.	დასკვნის საფუძველზე. ექსპერთა მიერ დამატებით გამოთხოვილი იქნა სტუდენტების კვლევებში ჩართულობის სტატისტიკა, განსაკუთრებით მედიცინის მიმართულებით, უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი დამატებითი მასალის შესწავლისად ჩანს, რომ 2020 წელთან შედარებით მედიცინის პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში კლებულობს, კონტიგენტის ზრდასღან ერთად არსებობს ამ მაჩვენებლის კიდევ უფრო შემცირების რისკი.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. 6.1 კვლევითი საქმიანობა შემუშავდეს კვლევის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დამათებით იქნა მოთხოვნილი კვლევის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ამსახველი დოკუმენტი. ინსტიტუციის მიერ მოწოდებული იქნა დოკუმენტი „საქართველოს უნივერსიტეტის კვლევის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ დამტკიცებული რექტორის საბჭოს 2022 წლის 19 დეკემბრის N36/22 ოქმით, სადაც დეტალურადაა აღწერილი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულ თაახვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და მისიასთან.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. 6.1 კვლევითი საქმიანობა ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეფექტურობის მონიტორინგი.	**რეკომენდაცია შესრულებუალია.** სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტურობის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო-სამეცნიერო დარგში პრორექტორი და აკადემიური საბჭო, ვის წინაშეც არიან ისინი ანგარიშვალდებული. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ყოველწლიურად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მისი საქმიანობის შედეგებსა და უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის ანალიზს.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. 6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია კვლევით პროექტების შერჩევისა და დაფინანსებისთვის, ასევე სხვა კვლევითი საქმიანობისთვის, შემუშავდეს გამჭვირვალე პროცედურები, მკაფიო კრიტერიუმებით.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** რეკომენდაციის სრულყოფილად შესრულების მიზნით, „საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებას“ დაემატა 241 მუხლი (დოქტორანტისთვის გრანტის გაცემის წესი) სადაც დეტალურად განისაზღვრა სადოქტორო პროგრამის სტუდენტზე გრანტის გაცემის წესი (პროცედურები), ვადები, საფუძვლები და ა.შ. შესაბამისად გაუქმდა მანამდე მოქმედი „საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების“ დანართი N13 (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 ოქტომბრის N 66/18 ოქმით).
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. 6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<u>2022 წელს მოცემული **რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად**</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

გაფართოვდეს საერთაშორისო კავშირები დაწესებულების კვლევების (თუნდაც ზოგიერთ) სფეროში.	დასკვნის საფუძველზე.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. 6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია გაიზარდოს საქართველოს უნივერსიტეტის მკვლევარების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო ღონისძიებებში და რჩებიან პარტნიორ უნივერსიტეტებში, საერთაშორისო კომპონენტების შემდგომი ინტეგრირების მიზნით.	**2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. დამატებით, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია „საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია“.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა.6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება წახალისდნენ და საშუალება მიეცეთ თანამშრომლებს, სადოქტორო კანდიდატებს და მაგისტრანტებსაც კი, უფრო რეგულარულად გამოაქვეყნონ კვლევითი საქმიანობის შედეგები საერთაშორისო რეცენზირებულ ჟურნალებში.	2022 წელს მოცემული **რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა.6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება მოხდეს კვლევითი აქტივობების სწავლების პროცესში ინტეგრირება განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე და გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა (განსაკუთრებით მედიცინის მიმართულებით);	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტის ყველა აფილირებული აკადემიური პერსონალი და მკვლევარი ვალდებულია გარდა სწავლის პროცესისა, ჩართული იყოს მინიმუმ ერთ 3 (სამი) წლიან კვლევით პროექტში, როფორც ფუნდამენტურ, ასევე გამოყენებით კვლევებში. გარდა ამისა, მკვლევარები მონაწილეობენ როგორც შიდასაუნივერსიტეტო, ასევე გარე საგრანტო კონკურსებში. კვლევის მიღებული შედეგები ქვეყნდება სამეცნიერო კვლევის, მონოგრაფიის ან პუბლიკაციების ფორმით როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზებში ინტეგრირებულ ჟურნალებში.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა.6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება მოხდეს უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმის დახვეწა მიმართულებების	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტში შემუშავებულია „სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მაისის N 32/19 ოქმით).

საჭიროებების გათვალისწინებით h-ინდექსის, i10-ინდექსის მითითებით;	სამეცნიერო პუბლიკაციების კუთხით, საქართველოს უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს პუბლიკაციებს, რომლებიც აისახება მსოფლიოს წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში - Scopus-სა და Web of Science-ში. სარეიტინგო სისტემებიც ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო ბაზებში აღრიცხული პუბლიკაციების შეფასებას. 2020 წლის 23 დეკემბრიდან 2023 წლის 10 აგვისტომდე, სამ წელიწადზე მცირე ვადაში, UG-სთან აფილირებული პროფაილების ციტირებების ჯამმა განიცადა 231%-იანი ზრდა: 70,504 ციტირებიდან 233,461-მდე.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა.6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო წესი თუ რამდენი დოქტორანტი შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელს მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით;	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდასაუნივერსიტეტო წესი. აღნიშნული წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის „დოქტორანტურის დებულების“ მე-15 მუხლის 1[1] პუნქტით, რომლის მიხედვითაც, დოქტორანტის ხელმძღვანელს უფლება აქვს მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 დოქტორანტს.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა.6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება დაიხვეწოს დოქტორანტურის სწავლების დებულების გრანტის გაცემის წესი ვადებისა და კრიტერიუმების კუთხით კონკრეტული მიმართულებების საჭიროებიდან გამომდინარე და შემუშავდეს სტრატეგია აღნიშნული წესის გამართვისა სტუდენტების კონტინგენტის ზრდის საკითხიდან გამომდინარე;	**რეკომენდაცია შესრულებულია.** „საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებას“ დაემატა 24[1] მუხლი (დოქტორანტისთვის გრანტის გაცემის წესი) სადაც დეტალურად განისაზღვრა სადოქტორო პროგრამის სტუდენტზე გრანტის გაცემის წესი (პროცედურები), ვადები, საფუძვლები და ა.შ. შესაბამისად გაუქმდა მანამდე მოქმედი „საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების“ დანართი N13 (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 ოქტომბრის N 66/18 ოქმით)
6 კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა.6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება დაიხვეწოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, შერჩევის, სწავლების პროცესში ჩართვისა და შენარჩუნების სტრატეგია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტური კონტინგენტის ზრდის ამოცანიდან გამომდინარე	**რეკომენდაცია შესრულებულია.** საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა გულისხმობს განათლების და კვლევის ინტეგრირებას. უნივერსიტეტში მოქმედებს ახალგაზრდა კადრების სამეცნიერო კვლევაში ჩართვის მხარდამჭერი სისტემა, რომელიც გულისხმობს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების მოზიდვას და ჩართვას უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ამ ამოცანის გადასაწყვეტად უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია „საქართველოს უნივერსიტეტის

	სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია“.
7 მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები, 7.1 მატერიალური რესურსი რეკომენდაცია 1. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უფრო ზუსტად და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით (ლაბორატორიების რაოდენობა და ფართი, კლინიკების რაოდენობა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა) დაითვალოს საგანმანათლებლო პროგრამების, განსაკუთრებულად საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების საჭიროებები და შეუსაბამოს ის სტუდენტების გაზრდილ კონტინგენტს;	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია მშრალი ინფორმაცია და არ ჩანს მკაფიო ანალიტიკური ანალიზი რეკომენდაციაში მოცემული კონკრეტული პარამეტრების მიხედვით, რაც ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცემა დაადგინოს უნივერსიტეტის პოტენციალი თუ რამდენად უპასუხებს სტუდენთა გაზრდილი რაოდენობის მოთხოვნებს.
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები, 7.1 მატერიალური რესურსი რეკომენდებულია დაწესებულებამ კარგად გადახედოს მედიცინის პროგრამის პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობას (მისაღები სტუდენტების რაოდენობა, მედიცინის მიმართულებების არსებობა - ამბულატორიული, სტაციონარული მომსახურება) და დეტალურად გაწეროს და დაითვალოს ამ დაწესებულებების გამტარუნარიანობა.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა ადგილზე აღნიშნული ცენტრებისა და ლაბორატორიების დათვალიერება. მუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიები აღჭურვილია შთამბეჭდავი სამედიცინო ინვენტარით, უსდ-ს არ აქვს გაკეტებული ანალიზი არსებული მატერიალური ტექნიკური ბაზა რამდენად უპასუხებს სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობს მოთხოვნებს.
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები, 7.1 მატერიალური რესურსი უნივერსიტეტის ვებგვერდი შეივსოს ყველა შესაბამისი დოკუმენტით (ასევე ინგლისურ ენაზე) და გახდეს ეს ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით პოტენციური სტუდენტებისა და პერსონალისთვის.	ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა უსდ ვებგვერდი. ვებგვერდზე განთავსებულია აუცილებელი დოკუმენტები როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია კონტინგენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად. ეს მექანიზმი აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული

პრაქტიკაში სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის PDCA ციკლის მიდგომებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოები შეიქმნას არა ინდივიდუალური პროგრამისათვის, არამედ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ჯგუფებისათვის.
3. სამედიცინო განათლების მოწვეული პერსონალისთვის (ექიმები) სავალდებულო გახდეს ტრენინგი პრაქტიკული უნარების შეფასების შესახებ.
4. პროგრამების შემუშავებისა და მათი დამატების გადაწყვეტილების მიღებისას რეკომენდებულია დაწესებულება იხილავდეს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებისა და ცვლილების პერსპექტივებს. ავტორიზაციის განაცხადში მითითებული საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები და მათი შენარჩუნება უნდა გახდეს ახალი პროგრამების დამატებისა და კონტინგენტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რაც რეკომენდებულია აისახოს შესაბამის საუნივერსიტეტო რეგულაციებში.
5. რეკომენდებულია მედიცინის სტუდენტთა უფრო მაღალი ჩართულობა კვლევაში.
6. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უფრო ზუსტად და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით (ლაბორატორიების რაოდენობა და ფართი, კლინიკების რაოდენობა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა) დაითვალოს საგანმანათლებლო პროგრამების, განსაკუთრებულად საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების საჭიროებები და შეუსაბამოს ის სტუდენტების გაზრდილ კონტინგენტს;
7. რეკომენდებულია დაწესებულებამ კარგად გადახედოს მედიცინის პროგრამის პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობას (მისაღები სტუდენტების რაოდენობა, მედიცინის მიმართულებების არსებობა - ამბულატორიული, სტაციონარული მომსახურება) და დეტალურად გაწეროს და დაითვალოს ამ დაწესებულებების გამტარუნარიანობა.

რჩევები

- გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ახალ სამედიცინო დაწესებულებებთან და სასურველია განხორციელდეს სწავლების კურსები ახალ პედაგოგებთან და მედ.პერსონალთან, რომელიც აქამდე არ იყო ჩართული სწავლების პროცესში, 2 მიმართულებით სწავლების თანამედროვე მეთოდები - განსაკუთრებით პაციენტის საწოლთან სწავლების და სტუდენტის შეფასების კუთხით;
- სასურველია ძველ და ახალ მისიას შორის მიმართება მკაფიოდ იყოსს წარმოჩენილი.
- სასურველია სტუდენტების არჩევის ვადა გაიზარდოს და კლასტერულ საბჭოში შევიდეს დეტალური სფეროს სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები.

საუკეთესო პრაქტიკა

- უსდ-ში მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი. კერძოდ მოხდა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის დიგიტალიზაცია. ასევე სილაბუსების დიგიტალიზაცია და ა.შ.
- დსპ (დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა) დანერგვა უნივერსიტეტში, რაც ემსახურება ინოვაციური, შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას.

არგუმენტირებული პასუხის საფუძველზე მოხდა შემდეგი რეკომენდაციის გაუქმება:

1. შემუშავდეს პოლიტიკის დოკუმენტები და წლიური გეგმები ინტერესის თითოეული სფეროსთვის, ამგვარად, კარგად იქნეს გამოყენებული შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოწოდებული

ინფორმაცია და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებით ეს დოკუმენტები გახდეს ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☑	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☑	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☑	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☑	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☑	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☑	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☑	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☑	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☑	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☑	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☑	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☑	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☑	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☑	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☑	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☑	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☑	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☑	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☑	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☑	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☑	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☑	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☑	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☑	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☑	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☑	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)

დავით სიხარულიძე

2. სახელი, გვარი (წევრი)

ციცინო თურქაძე

3. სახელი, გვარი (წევრი)



თინათინ გოგნაძე

4. სახელი, გვარი (წევრი)

ნანი ყავალაშვილი

5. (სტუდენტი ექსპერტი)

მარიამი ალექსიძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
რეკომენდაცია 1. უზრუნველყოფილ იქნეს, რომ განათლება და კვლევა მუდმივად უნივერსიტეტის ბირთვს წარმოადგენდეს, როგორც ეს მსოფლიოს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშია. უსდ-ს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2023 წლებისათვის. სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში განსაზღვრულია ოთხი პრიორიტეტი: სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პრესტიჟის და რეპუტაციის ზრდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა, სტუდენტებში ლიბერალური ღირებულებების

დამკვიდრება და მათ შექმნაში მონაწილეობა, საუნივერსიტეტო კამპუსის ინფრასტრუქტურის განვითარება. სტრატეგიული განვითარების გეგმაში პირველი მიზანი არის განათლება, რომელიც მოიცავს 11 ქვემიზანს. ხოლო მეორე სტრატეგიული მიზანია უსდ-ს სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება. ამ მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია 3 ქვემიზანი. კერძოდ Scholar-ის, Scopus-ის და Web of Science-ის ბაზებში არსებულ მაღალინფაქტფაქტორიან (IF > 0.7) ჟურნალებში მოხვდეს UG-სთან აფილირებული პროფესორების არანაკლებ 1080 სამეცნიერო პუბლიკაცია, ყოველწლიურად მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო წარმადობის საშუალოდ 20%-იანი ზრდა, ყოველწლიურად უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო პროექტების დაფინანსება, სკოლების/დეპარტამენტების ან დეპარტამენტებსშორისი შიდაკოლაბორაციული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება და აკადემიური პერსონალის ჩართვა, საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრთან (CERN) კოლაბორაცია, საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან (NASA, ESA, COMET, J-Partk, DUNA,) კოლაბორაცია, ქართველოლოგიური მიმართულებების განვითარება, დაკავშირება ევროპის და აშშ-ში არსებულ ქსრთველოლოგიურ ცენტრებთან და მათთან კოლაბორაცია, სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის უზრუნველყოფა, საბუნებისმეტყველო მიმართულებების განვითარება, იმუნოლოგიის ცენტრის ინფრასტრუქტურული გამართვა. სტრატეგიული გეგმის ანალიზიდან ჩანს, რომ განათლება და კვლევა მნიშნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს უნივერსიტეტისათვის.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია 2. სათანადო ყურადღება დაეთმოს ხარისხის კულტურას, კვლევას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლას და ინტერნაციონალიზაციას, მისიის განაცხადისა და შესაბამის პოლიტიკების გადახედვისას, ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG 2015) შესაბამისად.

უსდ-ს მისიაა ,,ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით. ყოველივე ამას ვახორციელებთ კომპეტენციის ცენტრების და იმგვარი პლათფორმის შექმნით, სადაც უზრუნველყოფილია ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება; ისეთი გარემოს შექმნით, სადაც პიროვნებას შემოქმედებითი, ინოვაციური და სამეწარმეო შესაძლებლობების გამოვლენისა და რეალიზების მაქსიმალური ასპარეზი ეძლევა. ჩვენი საქმიანობით, რასაც მუდმივად ინოვაციური მიდგომით ვანხორციელებთ, ისევე, როგორც ინსტიტუციური სრულყოფილებისკენ სწრაფვის საკუთარი მაგალითით წვლილი შეგვაქვს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ“.

დასკვნაში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ,,მისია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემოქმედებითობაზე, ინოვაციაზე, მეწარმეობასა და სრულყოფილებაზე. ზოგადად, საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები შეესაბამება უმაღლეს საგანმანათლებლო მიზნებს, როგორც საქართველოში, ისე ევროპაში“.

დასკვნაში ასევე ვკითხულობთ, რომ ,, უმაღლეს განათლებას განსაზღვრავს კვლევა და შესაბამისად იგი ნებისმიერი უნივერსიტეტის ბირთვს წარმოადგენს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მისიის განაცხადის ზუსტ სიტყვიერ ფორმულირებაში განათლებისა და კვლევის ურთიერთკავშირის ნაკლებობა შეინიშნება. საქართველოს უნივერსიტეტის ამბიციებისა და კვლევითი საქმიანობების გათვალისწინებით,სასურველია მისიის განაცხადში მეტად გამოხატულად ჩანდეს კავშირი კვლევასა და განათლებას შორის. ექსპერტები დაკსვნაში ასევე აღნიშნავენ რომ ,, არც მისიაში და არც ხედვაში არაა ნახსენები ხარისხის კულტურა.

უსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ მისიაში დაფიქსირებული ფრაზებში, როგორიცაა ,,ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება“- უფრო ფართო შინაარსის მატარებელია ვიდრე ცალკე აღებული სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა და სწავლება. უსდ-ს წარმოამდგენლები აღნიშნავენ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა და სწავლება არის ნაწილი და შემადგენელი იმისა თუ რასაც წარმოადგენს ფრაზა ცოდნის წარმოება და ,,ცოდნის წარმოებას“ აიგივებენ ,,ცოდნის შექმნასთან“რაც ვფიქრობთ კველვასთან არის დაკავშირებული. უბრალოდ სხვა სიტყვებით არის ფორმულირებული. ხოლო პიროვნების განათლება ასევე ასოცირდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებასთან, რომელიც ხორციელდება კომპეტენციების ცენტრების (სკოლა/დეპარტამენტი) მიერ ან/და დსპ (დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა).

მისიაში ვკითხულობთ შემდეგ წინადადებებს ,,ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო

პროგრამების შექმნა“ და ინსტიტუციური სრულყოფილებისკენ სწრაფვა.

ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანამანათლებლო პროგრამების შექმნა სტანდარტის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რაც ხარისხთან არის დაკავშირებული, ხოლო ინსტიტუციონალური ეფექტიანობა არის პროცესების, პროგრამებისა და სერვისების დაგეგმვის, შეფასების, ანალიზისა უწყვეტი ციკლი რაც ემსახურება გაუმჯობესებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ უნივერსიტეტის მისიას და ხედვას.

ინსტიტუციონალურ დონეზე შეფასება ქმნის ცვლილელების შეტყობინების და შეფასების უნარს მონაცემებზე დაფუნებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებით, რაც თავისთავად გულისხმობს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

გარდა ამისა მისიაში ვკითხულობთ (ამონარიდი ციტატიდან) ,,საკუთარი მაგალითით წვლილი შეგვაქვს კაცობრიობის საკეთილდღეოდ“. კაცობრიობის საკეთილდღეოდ წვლილის შეტანა დრევანდელ გლობალურ სამყაროში ინერნაციონალიზაციის გარეშე რთულია.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია 3. ფორმალიზებული გახდეს მისიისა და ხედვის განახლების ციკლი და უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა რედაქციის ხელმისაწვდომობა (გამოქვეყნება) და ისტორია (თარიღი).

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია, ისევე როგორ გასაუბრებისას დადგინდა, რომ საქართველოს უნივერსიტეტმა მოახდინა მისიისა და ხედვის ციკლის მიმოხილვის ფორმალიზება, რაც აღწერილია ,,სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“-ში. უსდ-ს შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეოთხე მუხლი ეხება სტრატეგიული დაგეგმვის ფაზებს. ამ მუხლის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვა ციკლური პროცესია და მოიცავს შემდეგ ფაზებს:

1. მისიისა და ხედვის განსაზღვრა, 2. არსებული მდგომარეობის ანალიზი: რესურსების ანალიზი, შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი, ბაზრის ანალიზი, კონკურენტების ანალიზი 3. კონკურენტული სტრატეგიის შემუშავება, 4. სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა, 5. მიზნების და ქვე-მიზნების განსაზღვრა, 6. სამოქმედო გეგმის შემუშავება, 7. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, შედეგებზე, რეაგირება. მეთოდოლოგიის მეოთხე მუხლი ზოგადად განსაზღვრავს ფაზებს, თუმცა არ არის ნაჩვენები ექპსერტების მიერ დაფიქსირებული მოსაზრება. კერძოდ ,, თუ როგორ უკავშირდება ამჟამინდელი მისია წინამორბედ მისიას“.

რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, გამიმდინარე იქიდან, რომ უსდ აქვს მეთოდოლოგია, თუმცა ძველ და ახალ მისიას შორის მიმართება მკაფიოდ არ არის წარმოჩენილი.

რეკომენდაცია 4. სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის შემუშავება უფრო მეტად დაეყრდნოს SWOT და PEST ანალიზების შედეგებს, განსაკუთრებით სამომხმარებლო სეგმენტზე პოზიციონირების ზრდის და სტუდენტებში უნივერსიტეტისადმი ინდიფერენტობის კლების მიზნით, ასევე, მაქსიმალურად დაეყრდნოს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის მიზნით;

სტრატეგიული გეგმის მიხედვით აღნიშნული სისუსტის დასაძლევად მიზნად დასახულია საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტად ქცევა. აღნიშნული მიზნისათვის განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები და შემუშავებულია მიზნის მიღწევის სტრატეგია:
უნივერსიტეტი მუშაობს საერთაშორისო რეპუტაციულ სარეიტინგო კომპანიების მიერ შემუშავებულ რეიტინგებში პოზიციის გაუმჯობესებაზე. ამასთან, მუშაობს ლოკალურ ბაზარზე პრესტიჟის ამაღლებაზე. უნივერსიტეტი მკვეთრ დიფერენცირებას ახდენს 1. სწავლების მაღალი ხარისხით (ქვეყნის საუკეთესო სამეცნიერო-აკადემიური პერსონალი, თანამედროვე/ინოვაციური სასწავლო პროგრამები, მომთხოვნი გარემოთი, დასაქმების მაღალი პერსპექტივა), 2. ინოვაციურობით, 3. ინტერნაციონალიზაციით, 4. ლიბერალიზმით და 5. ინფრასტრუქტურით.

რეკომენდაცია შესრულებულია

რეკომენდაცია 6. პანდემიის შემდგომი პერიოდისთვის შემუშავდეს ელექტრონული/ვირტუალური გარემოს ეფექტური გამოყენების სტრატეგია სააუდიტორიო საათებისა და ინფრასტრუქტურის ეფექტური გამოყენების ამოცანიდან გამომდინარე განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდილი საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით.

რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-მ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ელექტრონული/ვირტუალური გარემოს ეფექტური გამოყენების სტრატეგია. სტრატეგიაში ვკითხულობთ ,,საქართველოს უნივერსიტეტში, განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ, დაინერგა სხვადასხვა ელექტრონული /ვირტუალური საშუალება, რომელიც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების და კვლევის უწყვეტობის უზრუნველყოფას. სასწავლო პროცესის ციფრულად წარმართვისთვის გამოიყენება ონლაინ სწავლის პლატფორმები, მათ შორის (LMS) Online UG, My UG, რომელთა საშუალებითაც ლექტორებს აქვთ წვდომა თავიანთ ჯგუფებზე, რაც აძლევს მათ იმის საშუალებას, რომ გაასწორონ საგამოცდო ნაშრომები და საბოლოოდ ასახონ შეფასებები“.

უნივერსიტეტი მუდმივად ახორციელებს მენეჯმენტისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით სხვადასხვა სტრატეგიებს. ადმინისტრაციული პროცესები გამარტივდა დოკუმენტების მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვით, რაც უზრუნველყოფს არსებითი ადმინისტრაციული ფუნქციების დისტანციურად განხორციელებას. Online UG, MS Teams და Signify პლატფორმებს გამოყენებით საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ასევე თანამშრომლების მიღებას, შეფასებასა და დაჯილდოებას. ახალი თანამშრომლის შერჩევა და მიღება ხდება სრულიად გაციფრულებული მექანიზმით. იმისათვის, რომ უნივერსიტეტი მზად იყოს მოულოდნელ ცვლილებებთან, მუდმივად ხდება პერსონალის დატრენინგება სხვადასხვა ვირტუალურ ინსტრუმენტებსა და პრაქტიკაზე, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას. უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისთვის დაიგეგმა ტრენინგები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის მათ შესაძლებლობას, რომ გადავიდნენ ციფრული საშუალებების ეფექტურად გამოყენებაზე, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ელექტრონული/ვირტუალური გარემოს ეფექტური გამოყენების სტრატეგია (დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2023 წლის 11 სექტემბრის N27/23 ოქმით);
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და მონიტორინგის მექანიზმები (დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 27 ნოემბრის N 52/20 ოქმით);
- უსდ-ს მისია და ხედვა

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია ძველ და ახალ მისიას შორის მიმართება მკაფიოდ იყოსს წარმოჩენილი.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).

- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

რეკომენდაცია. ახალი სტრატეგია მეტად მკაფიოდ დაუკავშირდეს წინა სტრატეგიას, რათა უკეთესად მოხდეს მიღწეული პროგრესის გააზრება.

უსდ-მ შეიმუშავა 2023-2030 წლის სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული გეგმა დაფუძნებულია შემდეგ ძირითად პრიორიტეტებზე: განათლება, სამეცნიერო სქმიანობა, ინსტიტუციური ეფექტიანობა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა 2022 წლის სტრატეგიული გეგმის შესრულების დოკუმენტი, რომელიც დადარდა ახალ სტრატეგიულ გეგმასთან. კერძოდ 2022 წელს უსდ სტრატეგიული გეგმის მიხედვით განახორციელა განათლების მიმართულებით შემდეგი საქმიანობა:

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მაღალი ხარისხით წარმართვა; ყოველწლიურად აკადემიური კალენდრის დაგეგმვა და მისი მიხედვით სასწავლო პროცესის უზურნველყოფა 2020-2027; ისეთი რეგულაციურ-კომერციული პლათფორმის შემუშავება, რაც წაახალისებს ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას და შექმნის ჯანსაღ კონკურენციას არსებულ პროგრამებს შორის, საერთაშორისო მედიაციის ტურნირზე სტუდენტური გუნდით ყოველწლიურად მონაწილეობა 2020-2027; საერთაშორისო კომერციული მედიაციის ტურნირზე სტუდენტური გუნდით ყოველწლიურად მონაწილეობა 2020-2027; საერთაშორისო იმიტირებული სასამართლოს ტურნირზე სტუდენტური გუნდით ყოველწლიურად მონაწილეობა 2020-2027 წწ; რეპუტაციულ საერთაშორისო ტექნოლოგიების ტურნირზე სტუდენტური გუნდით ყოველწლიურად მონაწილეობა 2020-2027 წწ; საგამომგნებლო/ინოვაციური ტექნოლოგიების სასწავლო კურსის შექმნა და დანერგვა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში (სავალდებულო არჩევითი კომპონენტის სახით); გაცვლითი პროგრამენის გამრავალფეროვნება; ლიბერალური ღირებულებების დანერგვა სტუდენტებში. არსებული პროგრამების რეაკრედიტაცია, ელექტრონული სწავლების სოფთვეარის, ლიცენზიის შეძენა 2020 წლის III-IV კვარტალი.

ახალი სტრატეგიული გეგმის მიხედვით განათლების მიმართულებით უსდ გეგმავს ახალი პროგრამების დანერგვას და არსებულის კლასტერულ რეაკრედიტაციას. პროგრამების აკრედიტებას მაღალ რეპუტაციული საერთაშორისო მააკრედიტებელი ორგანიზაციების მიერ. უსდ ასევე ახალი სტრატეგიული გეგმის მიხედვით აგრძელებს ლიბერალური ღირებულებების დანერგვას სტუდენტებში და სოციალური ჩართულობის გაძლიერებას, საერთაშორისო კონკიურსებსა და ოლიმპიადებში სტუდენტების მონაწილეობას. საერთაშორისო კომერციული მედიაციის ტურნირზე სტუდენტური გუნდით ყოველწლიურად მონაწილეობის ხელშეწყობას. **მეწარმეობის საერთაშორისო ტურნირზე სტუდენტური გუნდით ყოველწლიურად მონაწილეობა, საერთაშორისო ბიზნეს-ოლიმპიადაზე სტუდენტური გუნდით ყოველწლიურად, გაცვლით პროგრამების გამრავალფეროვნებას,**

სამეცნიერო მიმართულებით წინა სტრატეგიული გეგმის მიხედვით უსდ-მ განახორციელა:

Scholar-ის, Scopus-ის და Web of Science-ის ბაზებში არსებულ მაღალინფაქტფაქტორიან (IF > 0.7) ჟურნალებში მოხვდეს UG-სთან აფილირებული პროფესორების არანაკლებ 850 სამეცნიერო პუბლიკაცია; 2020-2027 წწ ყოველწლიურად მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო წარმადობის საშუალოდ 20%-იანი ზრდა; 2020-2027 წწ არქეოლოგიური ცენტრის განვითარება; სამშვილდეში არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის უზრუნველყოფა; საბუნებისმეყველო მიმართულებების განვითარება; გამოყენებით-კვლევითი საქმიანობა საჯარო პოლიტიკის (რეფორმების, რეგულაციების, ქვეყნისთვის აქტუალური/კრიტიკული საკითხების) თემატიკაზე, რაც გამიზნულია პოლიტიკის შემმუშავებლების ექსპერტული კვლევებით და რეკომენდაციების უზრუნველყოფაზე და განპირობებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების პასუხისმგებლობით ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

ახალი სტრატეგიული გეგმის მიხედვით უსდ გეგმავს სამეცნიერო მიმართულებით შემდეგი მიზნების მიღწევას:

Scholar-ის, Scopus-ის და Web of Science-ის ბაზებში არსებულ მაღალინფაქტფაქტორიან (IF > 0.7) ჟურნალებში მოხვდეს UG -სთან აფილირებული პროფესორების არანაკლებ 1080 სამეცნიერო პუბლიკაცია. ყოველწლიურად

მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო წარმადობის საშუალოდ 20%-იანი ზრდა. ყოველწლიურად უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო პროექტების დაფინანსება. საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან (NASA, ESA, COMET, J-Partk, DUNA,) კოლაბორაცია; ქართველოლოგიური მიმართულებების განვითარება დაკავშირება ევროპის და აშშ-ში არსებულ ქსრთველოლოგიურ ცენტრებთან და მათთან კოლაბორაცია. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის უზრუნველყოფა. საბუნებისმეტყველო მიმართულებების განვითარება. იმუნოლოგიის ცენტრის ინფრასტრუქტურული გამართვა.

ძველი და ახალი სტრატეგიული გეგმის ორი პრიორიტეტის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ უსდ მიერ შემუშავებული ახალი სტრატეგია დაკავშირებულია ძველ სტრატეგიულ გეგმასთან.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია. შემუშავდეს პოლიტიკის დოკუმენტები და წლიური გეგმები ინტერესის თითოეული სფეროსთვის, ამგვარად, კარგად იქნეს გამოყენებული შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებით ეს დოკუმენტები გახდეს ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის.

ანგარშში აღნიშნულია, უსდ მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას სარგებლისა და რესურსული ხარჯების შეპირისპირების ალტერნატიული დანახარჯებიდან გამომდინარე. თუმცა უსდ-ს შემუშავებული აქვს კვლევის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ხოლო ვებგვერდზე დოკუმენტების განთავსება კვლავ რჩება გამოწვევად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმნტირებული პასუხის საფუძველზე აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა.

რეკომენდაცია. ხელახლა განისაზღვროს მაღალი ხარისხის განათლება და შემუშავდეს უფრო რეალისტური ხედვა უნივერსიტეტის პოზიციისა და შესაძლებლობების შესახებ.

მაღალი ხარისხის განათლების მიზნით უსდ გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საერთაშრისო აკრედიტაციის მიღებას. ეს პროგრამებია:

ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავება შემდეგი მიმართულებებით: (ბიოტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, სამოქალაქო ინჟინერია, კომპიუტერული ინჟინერია, მანქანათა მექანიკა და ა.შ.). აღნიშნული პროგრამები საერთაშორისო აკრედიტაციას გაივლიან ASIIN-ის სტანდარტით, ხოლო კურსდამთავრებულთა პირველი თაობის გაჩენის შემდეგ ABET-ის სტანდარტით. არქიტექტურა და ჰუმანიტარული მიმართულებები Zeva და Asic სტანდარტებით. ბიზნესის, ინფორმატიკის, საინჟინრო და სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტება მაღალრეპუტაციული საერთაშორისო მააკრედიტებელი ორგანიზაციების (ABET, AACSB, AMBA, WFME, ASIIN) მიერ. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის AMBA-ის სტანდარტებით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების AACSB-ის სტანდარტებით, საჯარო მმართველობის პროგრამის აკრედიტება NISPACEE-ის სტანდარტებით; ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის ABET-ის სტანდარტებით, ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ASIIN-ის სტანდარტებით, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ACEJMC-ის სტანდარტებით, სტომატოლოგიის პროგრამის ADEE-ის სტანდარტებით აკრედიტაცია.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დაკომპლექტება მოხდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორსიო პროფესურით. პოტენციურ დამსაქმებელთან სასწავლო პრაქტიკა-სტაჟირების უზრუნველყოფა მოხდება ყველა სტუდენტისთვის.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია: მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ხელმისაწვდომი ანალიზები, როგორიცაა SWOT და PEST ანალიზები, სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

უსდ-ს მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების გეგმაში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია SWOT ანალიზი. SWOT ანალიზიდან ჩანს შემდეგი სუსტი მხარეები:

- **მსოფლიო ავტორიტეტულ საუნივერსიტეტო რეიტინგებში 1500-ეულის მიღმა ყოფნა**
- დიპლომატიური წარმომადგენლობების სუსტად განვითარებული ქსელი
- **სტუდენტური საერთო საცხოვრებლის არ ქონა**
- უნივერსიტეტის ასოცირება კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან
- სუსტი პოზიციონირება სამომხმარებლო სეგმენტზე
- სტუდენტებში უნივერსიტეტისადმი ინდიფერენტობის ზრდა და სოლიდარობის კლება
- არსებულ მისამართზე ინფრასტრუქტურული განვითარების შეზღუდული შესაძლებლობა

სუსტი მხარის „მსოფლიო ავტორიტეტულ საუნივერსიტეტო რეიტინგებში 1500-ეულის მიღმა ყოფნა“ აღმოსაფხვრელად უსდ სტრატეგია არის: „მსოფლიო ავტორიტეტულ საუნივერსიტეტო რეიტინგებში 1500-ეულში მოხვედრისთვის უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს მაღალრეიტინგული სამეცნიერო პროდუქცია და მოახდინოს მარეიტინგებელი კომპანიების მოთხოვნებზე კალიბრირება“. სტრატეგიის აღნიშნული ფომულირება არ იძლევა საშუალებას განვსაზრვროთ როგორ აპირებს უსდ ამ სისუსტის დაძლევას. აღნიშნული ფორმულირება გვეუბნება თუ რა უნდა გაკეთდეს. რაც უფრო სურვილის ან მიზნის ფომულირების მსგავსია. თუმცა, სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სამეცნიერო პოტენციალის და განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზები.

სტუდენტური საერთო საცხოვრებლის არ ქონა - აღნიშნული სისუსტი მხარის დასაძლევად სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი ქვემიზანი არის 4,000 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებლების კომპლექსის მშენებლობა. უსდ აპირებს 2030 წლისათვის 2030 წლის III კვარტლის ბოლოს დასრულოს საერთო საცხოვრებლების კომპლექსის მშენებლობა, სადაც შესაძლებელია ერთდროულად 4000 სტუდენტის განთავსება. ამ ქვემიზნის მისაღის სტრატეგია არის უნივერსიტეტის მიერ დაფინანსების მოძიება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ფინანსური კოორპორაციიდან DFC, ასევე მოხდება პროექტის ნაწილობრივ კაპიტალით დაფინანსება. კომპლექსის გარკვეული ნაწილის მშენებლობა შესაძლოა გრძელვადიანი ლიზინგის (სარგებლობა-გამოსყიდვა) გზით დაფინანსდეს.

სუსტი პოზიციონირება სამომხმარებლო სეგმენტზე - სტრატეგიული გეგმის მიხედვით აღნიშნული სისუსტი დასაძლევად მიზანი არის საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტად ქცევა. აღნიშნული მიზნისათვის განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები და შემუშავებულია მიზნის მიღწევის სტრატეგია: უნივერსიტეტი მუშაობს საერთაშორისო რეპუტაციულ სარეიტინგო კომპანიების მიერ შემუშავებულ რეიტინგებში პოზიციის გაუმჯობესებაზე. ამასთან, მუშაობს ლოკალურ ბაზარზე პრესტიჟის ამაღლებაზე. უნივერსიტეტი მკვეთრ დიფერენცირებას ახდენს 1. სწავლების მაღალი ხარისხით (ქვეყნის საუკეთესო სამეცნიერო-აკადემიური პერსონალი, თანამედროვე/ინოვაციური სასწავლო პროგრამები, მომთხოვნი გარემოთი, დასაქმების მაღალი პერსპექტივა), 2. ინოვაციურობით, 3. ინტერნაციონალიზაციით, 4. ლიბერალიზმით და 5. ინფრასტრუქტურით.

ამგვარად დასკვნაში გავაანალიზეთ უსდ-ს სამი სუსტი მხარის კავშირი სტრატეგიულ გეგმასთან, დანარჩენი სუსტი მხარეებიც დაკავშირებულია სტრატეგიასთან, რომლის მიზანია ამ სისუსტეების აღმოფხვრა.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამოქმედო გეგმა
- უსდ-ს კვლევის სტრატეგია
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: <u>2021 წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაცია:</u> **1. გაანალიზდეს გადაწყვეტილებების მიღების შიდა პროცესების ეფექტურობა და ქმედითობა, კარგად დაბალანსებულ „ზემოდან-ქვემოთ“ (top-down) და „ქვემოდან-ზემოთ“ (bottom-up) მეთოდებზე ყურადღების გამახვილებით და ეს განმტკიცდეს შემოწმებისა და გაწონასწორების ძლიერი სისტემით.** <u>2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. <u>2021 წელს, ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდის პროცესში გაცემული რეკომენდაციები:</u> **რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს სხვადასხვა ადმინისტრაციული თანამდებობის ერთი პირისთვის შეთავსების პოლიტიკას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა აღნიშნული თანამდებობები ერთმანეთთან იერარქიულად არის დაკავშირებული.** <u>რეკომენდაცია გათვალისწინებული და შესრულებულია,</u> რასაც ადასტურებს შემდეგი: • 2022 წლიდან უნივერსიტეტმა რეკომენდაციის შესაბამისად განახორციელა ცვლილებები თანამდებობრივ გადანაწილებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციაზე დანიშნულია პირი, რომელიც არ ითავსებს სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობას. • ფინანსების დარგში პრორექტორის თანამდებობას გაემიჯნა ფინანსური სამსახურის უფროსის პოზიცია და ამ პოზიციაზე დაინიშნა სხვა პირი. • საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერად დაინიშნა შესაბამისი პირი, შედეგად ეს პოზიცია გაემიჯნა საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და საერთაშორისო ურთიერთოებების მიმართულებით პრორექტორის მოვალეობებს.

- 2023 წლიდან სხვადასხვა პირია დანიშნული ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დირექტორისა და გლობალური და ევროპული ჯანდაცვის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის დირექტორის პოზიციებზე.

რეკომენდებულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა სრულ შესაბამისობაში იყოს მართვის დებულებასთან.

<u>რეკომენდაცია შესრულებულია.</u> საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულებაში, რომელიც აღწერს ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესს, შეტანილია ცვლილებები 2022 და 2023 წლებში.

ასევე, 2022 წელს ცვლილებებია შეტანილი პარტნიორთა კრების მიერ 2019 წელს დამტკიცებულ უნივერსიტეტის სტრუქტურაში.

შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილებები იდენტურადაა ასახული სტრუქტურასა და მართვის დებულებაში. სტრუქტურაში აღარ ფიგურირებს ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს შესახებ, უნივერსიტეტის სტრუქტურაში კოლეგიალურ მართვის ორგანოდ წარმდგენილია რექტორის საბჭო, რომელიც უნივერსიტეტის მათვის დებულების მიხედვით ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ (7-წლიან) და სამოქმედო (3-წლიან) გეგმებს, ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულებას, ამტკიცებს სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის პარამეტრებს და სხვა. რექტორის საბჭოს მუდმივი წევრები არიან: რექტორი, პრორექტორი, სკოლის დირექტორი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი, რექტორის ოფისის მენეჯერი.

უნივერსიტეტის მართვაში გამოყენებულია სამსახურებისა და სკოლების წლიური სამოქმედო გეგმები, რომლებიც შესაბამისობაშია განახლებული სტრატეგიული გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართებაა ინტერნაციონალიზაცია, უცხოელი სტუდენტებისა და პროფესურის მოწვევა, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება. ამ აქტივობებს სრულად ასახავს უნივერსიტეტის განახლებული სტრატეგიული გეგმა 2023-2030. რაც შეეხება თავად ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია უნივერსიტეტის მოკლევადიანი 2019-2022 წლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა, რომელიც სრულადაა ჩანაცვლებული უნივერსიტეტის განახლებული სტრატეგიული გეგმაში 2023-2030 წარმოდგენილი ხედვითა და აქტივობებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულება. ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი.
- საქართველოს უნივერსიტეტის სტრუქტურა.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, 2021
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2021 წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაცია:</u>

უზრუნველყოფილ იქნეს, რომ PDCA (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლი, როგორც ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი, იყოს სრულად რეალიზებული, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

<u>2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

რეკომენდაცია წარმოადგენს მუდმივად გასახორციელებელ სამუშაოს. რეკომენდაციის შესრულების მიმართებით უნივერსიტეტში ინდივიდუალურად ყველა პროგრამისთვის შექმნილია პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც არის კოლეგიური ორგანო. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოში მუდმივმოქმედი წევრები არიან: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი. უნივერსიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს 80 საგანმანათლებლო პროგრამა.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ აანგარიშში წარმოდგენილია, რომ „პროგრამის განვითარების საბჭო არის კოლეგიური ორგანო, რომელიც ინდივიდუალურად ყველა პროგრამისთვის იქმნება“. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოები შეიქმნას არა ინდივიდუალური პროგრამისათვის, არამედ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ჯგუფებისათვის, ერთობლივად, ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამებისათვის. მით უმეტეს, როდესაც უნივერსიტეტი აცხადებს, რომ მისი მიმართებაა გააჩნდეს ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი „სარკისებური“ ანუ იდენტური პროგრამები. უნივერსიტეტს მხოლოდ ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში (როცა კლასტერი ვერ იქმნება) დასჭირდება ინდივიდუალური პროგრამის განვითარების საბჭოები. ამასთან, კლასტერული ჭრილში შექმნილი პროგრამების განვითარების საბჭოები იქნება უფრო მეტად წარმომადგენლობითი და კოლეგიალური ორგანო, რომელიც მთლიან ჭრილში PDCA ციკლის გამოყენებით განიხილავს დეტალური სფეროს სხვადასხვა საფეხურის პროგრამებს.

აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი კვლავ თვლის, რომ კლასტრულ ჭრილში წარმოდგენილი პროგრამების განვითარების საბჭო უფრო მეტად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, რაც გადამწყვეტია კლასტერში წარმოდგენილი ყველა საფეხურის პროგრამების განვითარებისათვის.

პროგრამების საბჭოში შედის სტუდენტი, რომელიც ირჩევა 1 სემესტრის ვადით. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უმჯობესია სტუდენტების არჩევის ვადა გაიზარდოს და კლასტერულ საბჭოში შევიდეს დეტალური სფეროს სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები.

გაგრძლედეს მუშაობა ანგარიშვალდებულებასა და გაუმჯობესებას შორის ბალანსის დაცვაზე.

2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

ჩაიდოს ინვესტიცია ხარისხის კულტურის კიდევ უფრო განვითარებაში, მისიის განაცხადის გადახედვით და ხარისხის კულტურის ცნებაზე დისკუსიის დაწყებით.

რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და ხარისხის კულტურის შესახებ საკუთარი ხედვა და განაცხადი ასახა დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამის დებულება“, რომელიც წარმოადგენს საუნივერსიტეტო საბაზისო ჩარჩო დოკუმენტს საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. ხარისხის კულტურის შესახებ განაცხადი ერთმანეთთან აკავშირებს უნივერსიტეტის მისიით გაცხადებულ ღირებულებებს და ხარისხის კულტურას, რისთვისაც გადამწყვეტია საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და ყველა დაინტერებული პირის ერთობლივი ძალისხმევა. ამასთან, უნივერსიტეტმა ვებ-გვერდზე https://ug.edu.ge/ge/quality-culture განათავსა ინფორმაცია ხარისხის კულტურის შესახებ, სადაც აღწერილია სუ-ის აქტივობები ხარისხის კულტურის დამკვიდრებისათვის, როგორიცაა: კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლის შედეგები; პრაქტიკული შესაბამისობა - პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების მუდმივი განვითარება; ინსტიტუციური შეფასება და სისტემატური თვითშეფასების უზრუნველყოფა; უწყვეტი გაუმჯობესება შიდა და გარე მექანიზმების გამოყენების შედეგად; პერსონალისა და სტუდენტების უწყვეტი პროფესიული განვითარება; შიდა და გარე მექანიზმების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე დაინტერესებული პირებისთვის უკუკავშირის მიცემა. ვიზიტის დროს, საუნივერსიტეტო საზოგადოებსათან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებზე, სუ-ის მენეჯმენტის, სამსახურების, სკოლების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ადასტურებდნენ გარე შეფასებით ანუ ავტორიზაციის პროცესით მიღებული რეკომენდაციების მნიშვნელობას, რამაც ხელი შეუწყო შიდა ხარისხის ხარისხის კულტურის განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ ყველა ინფორმაცია იყოს მარტივად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გამჭვირვალობა და მხარეთა მაქსიმალური ჩართულობა. განსაკუთრებით სტუდენტებს უნდა შეეძლოთ, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება სტუდენტთა ჩართულობის შესახებ.

რეკომენდაცია შესრულებულია. სუ-ის ვებ-გვერდზე განთავსებულია საინფორმაციო ველი https://ug.edu.ge/public/ge/quality-about-us, სადაც მოცემულია ინფორმაცია ხარისხის შიდა/გარე უზრუნველყოფაზე და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესახებ, განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის მენეჯერების შესახებ.

2021 წელს, ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდის პროცესში გაცემული რეკომენდაციები:

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების PDCA ციკლის მიხედვით განხორციელებისთვის რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობის გაზრდა სათანადო რაოდენობის კვალიფიციური კადრებით.

რეკომენდაცია შესრულებულია. ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდის პროცესის დროს ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2021 წლის მდგომარეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედგებოდა 4 თანამშრომლისგან, რომელთაგან ორი ითავსებდა სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობასაც. არსებული მდგომარეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დამატებულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 8 პოზიცია. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 6 სკოლა (ფაკულტეტი), რომელიც წარმოადგენენ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობის გაზრდა მოხდა აღნიშნულ სკოლებში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პოზიციის დამატებით. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი კურირებს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის პროცესებს, რომელიც მოიცავს PDCA ციკლის გამოყენებაზე დაფუძნებულ პროცედურებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოები, რომელთა მუდმივმოქმედი წევრები არიან: პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი.

რეკომენდებულია კონტინგენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად.

<u>რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული</u>. კონტიგენტის დაგეგმვის გაცხადებული მექანიზმი არ მოიცავს ყველა იმ აუცილებელი ინდიკატორს, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად.

2021 წელს, ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდის პროცესში ექსპერტთა დასკვნაში ამ რეკომენდაციის შესაბამისი აღწერა და შეფასება იყო შემდეგი: „უნივერსიტეტში შემუშავებულია კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც აღწერილია ,,საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში", თუმცა დოკუმენტში მოცემული ინდიკატორები არ ითვალისწინებს მატერიალურ რესურსს (გარდა ფართისა), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობას, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობები არის ზოგადი, საუნივერსიტეტო და არ განსხვავდება ცალკეული პროგრამების/დარგების სპეციფიკის მიხედვით. უფრო დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კონტინგენტის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუზე არ იყო ნათელი, თუ რა გათვლებს ეფუძნებოდა კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს კონტინგენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმი, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად".

უნივერსიტეტმა განაახლა „საგანმანათლებლო პროგრამის დებულება", რომელშიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აღწერილია გარე და შიდა შემზღუდავი ფაქტორები. სუ-ს განაცხადით, პროგრამაზე ყოველწლიურად მისაღები კონტიგენტის განსაზღვრისას შიდა შემზღუდავ ფაქტორებს წარმოადგენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა აკადემიური პერსონალის ლიმიტი, ინფრასტრუქტურის ლიმიტი (1 სტუდენტზე არანაკლებ 2 კვ.მ. სასწავლო ფართი) მატერიალურ-ტექნიკური (კომპიუტერული ტექნიკის, სალაბორატორიო რესურსის და ა.შ.) ბაზის ლიმიტი.

იგივე დოკუმენტში, „თავი 4. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი" გაცხადებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტაბილურობის და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილია პროგრამაზე პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის გარკვეული თანაფარდობები სალექციო, სასემინარო, კლინიკური და ლაბორატორიული სწავლებისათვის. დოკუმენტში წარმოდგენილი პარამეტრები ემსახურება მხოლოდ პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრას სტუდენტთა ფორმირებული ჯგუფებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი შემდეგი დასახელებით: „აქა მტკიცება იმისა, რომ ამჟამად არსებული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეესაბამება სტუდენტთა გაზრდილი ქვოტას". ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო მტკიცებულებები, საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის პრაქტიკაში გამოყენების და შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა შეფასება-ანალიზი ისეთი საკვანძო პარამეტრების მიხედვით, როგორიცაა მატერიალური ბაზა-სტუდენტის განთავსება, სალექციო, პრაქტიკული და ლაბორატორიული სივრცეების, კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობები. ამ პარამეტრებს დაწესებულება თავად უწოდებს „შიდა შემზღუდავ ფაქტორებს". შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის აქტიურად გამოიყენოს PDCA ციკლის მიდგომები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს უნივერსიტეტის სტრუქტურა
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესახებ https://ug.edu.ge/public/ge/quality-about-us
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, 2021
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022
- საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კონტინგენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად. ეს მექანიზმი აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული პრაქტიკაში სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის PDCA ციკლის მიდგომებით.
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოები შეიქმნას არა ინდივიდუალური პროგრამისათვის, არამედ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ჯგუფებისათვის.

რჩევები:

- სასურველია სტუდენტების არჩევის ვადა გაიზარდოს და კლასტერულ საბჭოში შევიდეს დეტალური სფეროს სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2021 წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაცია:</u>

ინვესტიცია ჩაიდოს ნდობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო საზოგადოების შექმნაში და გაუქმდეს დოკუმენტი ორგანიზაციული კულტურისა და დრეს-კოდის შესახებ.

2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა და მისი დანართები
- პლაგიატის (Turnitin) პროგრამაში გაწევრიანების ინსტრუნქცია სტუდენტებითვის
- პლაგიატის პროგრამის ინსტრუქცია ლექტორებისთვის
- <u>https://www.ug.edu.ge/ge/continuous-professional-development</u>

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
2021<u>წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაციები:</u> 1. **გათანამედროვდეს პროგრამების საგანმანათლებლო ფორმა ინოვაციური იდეების განხორციელებით, როგორიცაა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, მულტიდისციპლინური პროგრამები და მოქნილი სასწავლო გზები.** 2021 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ინსტიტუცია კვლავ აგრძელებს მუდმივ განვითარებას და მუშაობას. მუდმივად ხდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებში თითოეული სკოლის წარმომადგენლის დატრენინგება. 2023 წელს ჩატარებულია ტრენინგები და ვორქშოპები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, რაც დასტურდება ინტერვიუებითაც. 2. **ინვესტიცია ჩაიდოს პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესებში მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისთვის.** 2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. Erasmus-ის ფარგლებში არსებული პროექტი STAR. აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში დატრენინგდა თითოეული სკოლის წარმომადგენელი სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუდმივად არიან ჩართული პროგრამების შემუშავებისა და განახლების პროცესში, რაც დადასტურდა ინტერვიუებიდანაც. ყოველი სემესტრის შემდეგ ხარისხის სამსახურის მხრიდან იგზავნება კითხვარები, რაც საშუალებას აძლევს როგორც აკადემიური პერსონალს ასევე სტუდენტებს დააფიქსიროონ თავიანთი რეკონედაციები და სურვილები პროგრამის უკეთ განვითარებისთვის. 2021 წელს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ დასკვნაში მოცემულია შემდეგი რეკომენდაცია:

3. **სტუდენტების რაოდენობის გაზრდის პარალელურად უნდა მოხდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ინფრასტრუქტურის განახლება.**

რეკომენდაცია შესრულებულია - ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლას შეემატა ახლად გახსნილ ი კორპუსშ (პ. ქავთარაძის ჩიხი 4) სადაც განთავსებულია სპეციალურად OSCE-ის გამოცდების ჩასატარებლად დამატებითი 12 სადგური. თოთოეული ოთახი აღჭურვილია სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინვენტარით. ოთახებში შესაძლებელია გამოცდის პროცესის ვიდეო და აუდიო ჩაწერა. ორივე ლოკაციაზე, როგორც პირველ კორპუსში 6 სადგურის და ახალ კორპუსში 12 სადგურის გამოყენებით შესაძლებელია 70 და 130 სტუდენტის გამოცდა ერთდროულად ერთი დღის განმავლობაში. ახალ კორპუსში მომზადებული 12 ახალი სადგური იძლევა საკმარის საშუალებას, რომ სტუდენტების არსებული მზარდი რაოდენობის პირობებში საგამოცდო ცენტრი სრულფასოვნად მოემსახურება ნაკადებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კითხვარების ფორმები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, 2021
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ახალ სამედიცინო დაწესებულებებთან და სასურველია განხორციელდეს სწავლების კურსები ახალ პედაგოგებთან და მედ.პერსონალთან, რომელიც აქამდე არ იყო ჩართული სწავლების პროცესში, 2 მიმართულებით სწავლების თანამედროვე მეთოდები - განსაკუთრებით პაციენტის საწოლთან სწავლების და სტუდენტის შეფასების კუთხით

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2022 <u>წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაცია:</u>

1. **პროგრამის სილაბუსში განიმარტოს და განახლდეს ინფორმაცია სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესახებ.**

2023 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დამატებით ნაბიჯები გადადგა ინსტიტუციამ, კერძოდ კიდევ ერთხელ მოხდა პროგრამების სილაბუსების გადახედვა, რითაც მტკიცდება, რომ სასწავლო მიზნები და სწავლის შედეგები სრულიად შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი სწავლების მეთოდები - როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, მედიცინის მიმართულებით პაციენტის საწოლტან სწავლება.

2. **საქართველოს უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ენის შესწავლის კუთხით, რადგან მედიცინის სტუდენტებმა უნდა შეიძინონ კარგი კომუნიკაციური უნარები პაციენტებთან ურთიერთობისთვის.**

2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. შემუშავდა ქართული ენის სწავლების მოდიფიცირებული სასწავლო კურსები, რომელთა კონცეფცია აგებულია ენა სპეციალური მიზნებისათვის (LSP) მიდგომაზე. 2023 წლიდან მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელდა საპილოტე ცვლილება პროგრამის შემდეგ კურსებში: Basics of Disease and Diagnosis I და Basics of Disease and Diagnosis II. რაც მოიცავს წარმოდგენილ დისციპლინებში ქართული ენის სწავლების ინტეგრირებას. თითოეული კვირის განმავლობაში განსაზღვრულია ქართულენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგიის სწავლება როლური თამაშებისა და სტანდარტიზირებული პაციენტის გამოყენებით. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს ერთზე მეტი ლექტორის, ამ შემთხვევაში მედიკოსისა და ფილოლოგის, მუდმივ ჩართულობასა და კოორდინაციას ყოველკვირეული სწავლების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მოდიფიცირებული სასწავლო კურსების სილაბუსები
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2021 წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაცია:</u>

1. **საქართველოს უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს წარმატების მაჩვენებლის მკაფიო მიზნების დასახვა მისი ამბიციების შესაბამისად.**
2. **განისაზღვროს მინიმალური შუალედური ქულა გამოცდის ჩაბარებისთვის**

2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, ჩანს, რომ სამივე საფეხურის პროგრამებში შეფასების სისტემა თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

3. **გადაიხედოს სამედიცინო განათლების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება და კარგად იქნეს გამოყენებული OSCE, SCO, Mini-Cex და ა.შ.**

2022წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

ჯანდაცვის მეცნიერებების სკოლის მიერ სამედიცინო განათლების პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების და შეფასების მეთოდების გაუმჯობესება და განვითარება მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში და წარმოადგენს უწყვეტ პროცესს. პრაქტიკული უნარჩვევების შეფასების გაუმჯობესების და კარგად გამოყენების მიზნით სხვადასხვა კლინიკურ დისციპლონებში დაემატა OSCE -ით შეფასება (კლინიკური უნარ-ჩვევები I,II; დაავადებათა დიაგნოსტიკის საფუძვლები I, II; მეანობა; შინაგანი მედიცინა II; პედიატრია; ქირურგია II; ფსიქიატრია და კლინიკური ფსიქოლოგია; საოჯახო მედიცინა. მეთორმეტე სემესტრის ბოლოს ფინალური 12 სადგურიანი OSCE გამოცდების ჩატარების მიზნით მედიცინის პროგრამაში მოხდა საგნის - კლინიკური უნარ-ჩვევები III დამატება. მოხდა Mini-CEX ჩასმა შემდეგ სასწავლო კურსებში: შინაგანი მედიცინა I; ნევროლოგია; კლინიკური აზროვნება, დიფერენციალური დიაგნოსტიკა; ინფექციური დაავადებები. (DOPS) გამოყენების მიზნით შეირჩა შემდეგი საგნები: MD235220E ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია; MD235240E გადაუდებელი მედიცინა; MD235130E გინეკოლოგია; MD234120E ქირურგია I.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ოსკის და ოსპის დადასტურების დოკუმენტაცია;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022
- ინტერვიუირების შედეგები
- სასწავლო კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 2021 წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაციებია: 1. **ფორმალიზდეს პერსონალის ტრენინგი, საგანმანათლებლო უნარ-ჩვევებზე მკაფიო აქცენტით. გახდეს სასწავლო კურსები სავალდებულო, უფრო ინტენსიური და პერსონალიზებული.** **2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. მოცემული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებშიც, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ რეკომენდაციის შესაბამისი აქტივობები მდგრადაა დანერგილი საუნივერსიტეტო პრაქტიკაში. 2022 და2023 წელს უნივერსიტეტმა ჩაატარა/დააფინანსა 50-მდე შინაარის ტრენინგი, რომელშიც ჩაერთო 500-ზე მეტი თანამშრომელი. 2. **წინასწარ განისაზღვროს ინსტიტუციური მოლოდინები პერსონალის მიმართ და გაზიარდეს ის თანამშრომლებთან; ხელმისაწვდომი გახდეს საჭირო რესურსები თითოეული თანამშრომლისთვის, მათი მხრიდან დაწესებულების მოლოდინის გასამართლებლად.** **2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად** უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

მოცემული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებშიც, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ რეკომენდაციის შესაბამისი აქტივობები მდგრადაა დანერგილი საუნივერსიტეტო პრაქტიკაში. უნივერსიტეტში 2024 წლის თებერვალში დაგეგმილია პროფესურის ატესტაცია, რომლის შესაბამისი ინფორმაცია სრულადაა ხელმისაწვდომი თანამშრომლობისათვის. 2022-2023 წლებში უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ვაკანსიები წარმოადგენენ სრულყოფილ ინფორმაციას საჭირო უნარების, მოვალეობების, ვალდებულებებისა და სამუშაო აღწერილობების სახით.

3. სამედიცინო განათლების მოწვეული პერსონალისთვის (ექიმები) სავალდებულო გახდეს ტრენინგი პრაქტიკული უნარების შეფასების შესახებ.

რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. საქართველოს უნივერსიტეტში 2022-2023 წლებში განხორციელებულია ტრენინგები, რომელიც მოიცავს პედაგოგიური, ადმინისტრაციული, კვლევით და ლიდერული უნარების განსავითარებელ ღონისძიებებს უნივერსიტეტის ყველა პროგრამის (მათ შორის მედიცინის) პერსონალისთვის.

საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის განვითარების 2023-2025 გეგმით მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ტრენინგებისა და განვითარების პროგრამები მოიცავს შემდეგ თემებს: სწავლების მეთოდები, კვლევის მეთოდები, ტექნოლოგიების ინტეგრაცია, კომუნიკაციის უნარი, ინტერპერსონალური უნარები, მულტიკულტურული უნარები, ინგლისური ენა.

სუ-ს განაცხადით, რეკომენდაციის შესაბამისად, მედიცინის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის სავალდებულო გახდა 2 წელიწადში არანაკლებ ერთხელ სწავლების მეთოდებში და მულტიკულტურული უნარების მართულებით გადამზადება, საქართველოს უნივერსიტეტი დაფინანსებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა ამ განაცხადის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება. შესაბამისად, რეკომენდაციის შესრულება კვლავ რჩება უნივერსიტეტის გამოწვევად.

მოცემულ საკითხზე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციას, რაც ასევე ამტკიცებს ჩვენ შეფასებას რეკომენდაციის მეტწილად შესრულების თაობაზე. უნივერსიტეტის არგუმენტაციით, „მიმდინარე ლექტორები ყველანი აკმაყოფილებენ ზემოხსენებულ მოთხოვნას, ხოლო ახალი ლექტორების შემთხვევაში არ ხორციელდება სასწავლო პროცესში მათი ჩართვა, ვიდრე არ გაივლიან შესაბამის ტრენინგებს, რაც დასტურდება სერტიფიკატებით“. რეკომენდაცია გულისხმობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაციის მომართვას ისე, რომ სამედიცინო განათლების მოწვეული პერსონალისთვის (ექიმები) ცალსახად გაიწეროს პრაქტიკული უნარების შეფასების შესახებ ტრენინგის გავლის ვალდებულება, რაც არ არის დოკუმენტურად დადგენილი.

4. უზრუნველყოფილ იქნეს, რომ პერსონალის მუშაობის შეფასება და კმაყოფილების კვლევები ხორციელდება რეგულარულად, ხოლო შედეგები ყურადღებით გაანალიზებულია და გამოიყენება, როგორც უნივერსიტეტის საერთო საქმიანობის შემდგომი განვითარების ინსტრუმენტი.

რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ჩატარებული ინტერვიუირებით დასტურდება, რომ 2022-2023 წლებში დაწესებულებამ ჩაატარა პერსონალის მუშაობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევები, გაანალიზა მიღებული შედეგები, გასაუმჯობესებელი მხარეები და განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები.

<u>2021 წელს, ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდის პროცესში გაცემული რეკომენდაციები:</u>

რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მის მიერ დადგენილ სამიზნე ნიშნულებს აკადემიური პერსონალის, პროგრამებისა და სტუდენტების თანაფარდობების მხრივ და კორექტირება შეიტანოს მასში სამიზნე ნიშნულების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

რეკომენდაცია შესრულებულია. ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების კონტიგენტის დაგეგმვის საკითხების შეფასებისას უპირველესად ხელმძღვანელობს საქართველოს უნივერსიტეტის 2021 წლის საავტორიზაციო თვითშეფასებასა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში

წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულებით. ამ დოკუმენტებით დაწესებულება აცხადებდა, რომ სამიზნე ნიშნულების მიღწევა და თანაფარდობების შენარჩუნება განსაზღვრული ჰქონდა 2027 წლამდე.

მოცემული გეგმიური მონიტორინგის პერიოდში უნივერსიტეტს შეცვლილი და განახლებული აქვს სტრატეგიული გეგმა, ასევე შეცვლილია ის სამიზნე ნიშნულები, რომელიც სუ-ს მიერ დაფიქსირებულია ავტორიზაციის განაცხადში. კერძოდ, ავტორიზაციის განაცხადით პარამეტრისათვის - აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან - სუ-ს სამიზნე ნიშნული იყო 1:10, მიმდინარე ეტაპზე დაწესებულების დოკუმენტაციაში გაცხადებულია ამ პარამეტრის მაჩვენებელი - 1:20. ასევე, შეცვლილია პარამეტრის - ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სტუდენტზე - ნიშნული, რომელიც 2021 წლისათვის იყო 1:25, ხოლო ახლა არის 1:50.

პარამეტრი	**სამიზნე ნიშნული-2027** (2021 წლის ავტორიზაციის განაცხადით)	**ფაქტობრივი მაჩვენებელი** 2021 ავტორიზაცია	**ფაქტობრივი მაჩვენებელი** კონტიგენტის გაზრდის ვიზიტის დროს	**ფაქტობრივი მაჩვენებელი** გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/10	849/6733 1/7,93	876/7245 1/8,27	1133/8510 1/7,5
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	12/1	849/65 13/1	876/67 13/1	1133/80 14/1
ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	4/100 1/25	293/6733 1/25	293/7245 1/25	267/8510 1/32
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1/4	207/849 1/4	234/876 1/3,74	257/1133 1/4,4 0,23
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	3/100	207/6733 3/100	234/7245 3,2/100	257/8510 3/100

ვიზიტის დროს, დაწესებულების მხრიდან დაფიქსირებული აქტიური სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 8510 სტუდენტს, მაშინ, როდესაც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიქსირდებოდა აქტიური სტატუსის მქონე 4888 სტუდენტი.

პროგრამების შემუშავებისა და მათი დამატების გადაწყვეტილების მიღებისას რეკომენდებულია დაწესებულება იხილავდეს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებისა და ცვლილების პერსპექტივებს. ავტორიზაციის განაცხადში მითითებული საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები და მათი შენარჩუნება უნდა გახდეს ახალი პროგრამების დამატებისა და კონტინგენტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რაც რეკომენდებულია აისახოს შესაბამის საუნივერსიტეტო რეგულაციებში.

რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული.

საავტორიზაციო პროცესში საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები ეწოდება დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადში წარმოდგენილ საკვანძო პარამეტრების სამიზნე ნიშნულებს. სუ-ს მიერ 2021 წლის საავტორიზაციო განაცხადით დაფიქსირებულია საკვანძო პარამეტრების სამიზნე ნიშნულები სკოლების (ანუ ფაკულტეტების) მიხედვით. ეს პარამეტრები სუ-ს სკოლებისათვის უნდა იყოს სახელმძღვანელო პარამეტრები, რადგან საავტორიზაციო განაცხადში ამ პარამეტრებზეა დაწესებული მიღწევის ვადა - 2027 წელი. შესაბამისად, დაწესებულება უნდა ითვალისწინებდეს მიე მიერ გაცხადებულ საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულებს და უნდა მოქმედებდეს ამ სამიზნე ნიშნულების მიღწევა-შეფასება-გაუმჯობესება-კორექტირების ჩარჩოში.

უნივერსიტეტმა რეკომენდაციის გათვალისწინებისათვის სპეციალურ მარეგულირებელ დოკუმენტებში გააკეთა ჩანაწერი, რომ პროგრამების დამატება-განახლების ან პერსონალის დამატების საკითხებზე კრიტერიუმის სახით ითვალისწინებს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულებს. თუმცა ამ ნიშნულების შეფასების (2022 და 2023 წლისათვის), გადახედვისა და გაანალიზების პროცესი არ ჩატარებულა.

ექსპერტთა ჯგუფის ეს რეკომენდაცია კვლავ რჩება სუ-ს შემდგომი მუშაობის საკითხად.

მოცემულ საკითხზე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო და იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას, რომლის მიხედვითაც „ექსპერტების რეკომენდაციის მიხედვით უნივერსიტეტი მზადაა გაითვალისწინოს რეკომენდაცია და არა სამოქმედო გეგმების დონეზე, არამედ ცალკე, საფაკულტეტო დონეზე ცალკე დოკუმენტებად გამოვყოთ ეს ინფორმაცია, რომელიც უკვე ასახულია უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს უნივესიტეტის მიერ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსი https://www.ug.edu.ge/vakansia
- საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის განვითარების გეგმა 2023-2025
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, 2021
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022
- საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- პერსონალის მუშაობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის პრაქტიკაში განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სუ-ს სკოლების სამოქმედო გეგმები;
- ‘ინტერვიუირების შედეგები.

რეკომენდაციები:

- სამედიცინო განათლების მოწვეული პერსონალისთვის (ექიმები) სავალდებულო გახდეს ტრენინგი პრაქტიკული უნარების შეფასების შესახებ.
- პროგრამების შემუშავებისა და მათი დამატების გადაწყვეტილების მიღებისას რეკომენდებულია დაწესებულება იხილავდეს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებისა და ცვლილების პერსპექტივებს. ავტორიზაციის განაცხადში მითითებული საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები და მათი შენარჩუნება უნდა გახდეს ახალი პროგრამების დამატებისა და კონტინგენტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რაც რეკომენდებულია აისახოს შესაბამის საუნივერსიტეტო რეგულაციებში.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ამ კომპონენტში რეკომენდაცია არ იყო გაცემული და ავტორიზაციის პროცესში შეფასებული იყო, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, 2021 • ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების აღიარების წესი, რომელიც არის გამჭვირვალე, სამართლიანი, მოქმედი კანონის შესაბამისად და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისა და სხვა დაინტერესებული მხარისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე.
საქართველოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (ug.edu.ge), ყველა ის დებულებაა განთავსებული, როგორიცაა: ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, სადოქტორო და მენეჯმენტის, რომლებიც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პროცედურების განხორციელებას კანონის შესაბამისად. ინტერვიუს პროცესში, სტუდენტებმა დაასტურეს ინფორმაცია, რომ ხელმისაწვდომია მათთვის ნებისმიერ დროს და იცნობენ დებულებებს.

უნივერსიტეტში სწავლასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-ტექნიკურ საკითხებს მართავს საგანმანათლებლო პროცესების ადმინისტრირების სამსახური. მობილობისა და სხვა დაწესებულებებში მიღებული განათლების აღიარება ასევე მოითხოვს პროგრამის დირექტორის ჩართულობას.

უნივერსიტეტში დებულებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მექანიზმებით ხდება რეაგირება სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევებზე ან სავარაუდო დარღვევებზე. ასევე განსაზღვრულია შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების გასაჩივრების მექანიზმები პორტალით - "My UG".

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხელშეკრულების ნიმუშები უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის;
- დებულება ბაკალავრიატის განათლების შესახებ;
- დებულებები მაგისტრატურისა და დოქტორანტურისთვის;
- კითხვარები და ანალიზი;
- ღირსების კოდექსი;
- შინაგანაწესი;
- მენეჯმენტის დებულება;
- online.ug.edu.ge; ug.edu.ge; my.ug.edu.ge

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.

- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2021 წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაცია:

შემუშავდეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის გეგმა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების ეფექტური განხორციელების მიზნით.

რეკომენდაცია შესრულებულია. საქართველოს უნივერსიტეტი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას კონკრეტული სერვისებისა და ღონისძებების შესახებ. სტუდენტთა ონლაინ პლატფორმა MY UG-ზე სტუდენტი ყოველდღიურად იღებს ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ. ამას გარდა, სტუდენტს მთავარ გვერდზე აქვს სპეციალური კალენდარი, სადაც ისახება ინფორმაცია მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. სტუდენტის მხრიდან ონლაინ პლატფორმაზე მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის აუცილებლობა გამყარებულია მათთან დადებული ხელშეკრულებითაც.

გაიზარდა სტუდენტების ჩართვა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, რაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივის მხარდაჭერას. გაუმჯობესდა ასევე უსდ-ში მოქმედი საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ გაიზარდა თანამშრომლობა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორთან, რაც ხელს უწყობს როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების ჩართვას სტაჟირებებსა და პრაქტიკის პროგრამებში. აქედან გამომდინარე, სტუდენტები აქტიურად იღებენ ინფორმაციას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით, რომელსაც უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერის სერვისი.
სტუდენტები ყოველდღიურად იღებენ ინფორმაციას სტუდენტთა ონლაინ პლატფორმა MY UG-ზე უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ.
MY UG პლათფორმებზე და საქართველოს უნივერსიტეტის საიტზე დამატებულია ასევე ,,შენიშვნების რეგისტრაციის“ ბმული, სადაც სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გამოაგზავნონ შენიშვნები, რომლებიც გათვალიწინებული იქნება სერვისების გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, შენიშვნები რომლებიც ეხება მომსახურების, ტექნიკურ და სხვა სახის ხარვეზებს, ასევე რეკომენდაციები, რომლებიც სასწავლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესებაში დაგვეხმარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხელშეკრულების ნიმუშები უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის;
- დებულება ბაკალავრიატის განათლების შესახებ;
- დებულებები მაგისტრატურისა და დოქტორანტურისთვის;
- კითხვარები და ანალიზი;
- ღირსების კოდექსი;
- შინაგანაწესი;
- მენეჯმენტის დებულება;
- https://www.ug.edu.ge/ge/star
- ტრენინგებზე დასწრების ბარათები
- MyUG-ის პლათფორმა
- OnlineUG-ის პლათფორმა
- My UG-ის პლათფორმა

- Online UG-ის პლათფორმა
- სკოლის ტრენინგები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის მეთოდებში
- მართვის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის
- სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასების ფორმა სტუდენტისთვის
- სასწავლო კურსის შეფასების ფორმა ლექტორებისთვის
- უნივერსიტეტში მიღებული განათლების შეფასების ფორმა_დასაქმებული სტუდენტებისთვის

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2021 წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაცია:</u>

1. **უზრუნველყოფილ იქნეს, რომ კვლევის მეთოდოლოგია და სამეცნიერო საქმიანობა სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის, მათ შორის სამედიცინო განათლების სფეროში.~**

   <u>2022 წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

2. **საჭიროების შემთხვევაში, დიფერენცირდეს ფუნდამენტური (სამეცნიერო)და გამოყენებითი კვლევები.**
   <u>2022წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე

წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი სხვადასხვა მიმართულებით და სკოლების დეპარტამენტებში მიმდინარეობს შესაბამისი მიმართულების კვლევები. ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში დამატებული იქნა სამი საუნივერსიტეტო კვლევითი ინსტიტუტი:

1) თამაზ ბერიძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი;

2) ვლადიმერ სანაძის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

3) კვანტური გამოთვლებისა და ხელოვნური ინტელექტის ცენტრი

3. უზრუნველყოფილ იქნეს, სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობა უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში.

<u>2022წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

ექსპერთა მიერ დამატებით გამოთხოვილი იქნა სტუდენტების კვლევებში ჩართულობის სტატისტიკა, განსაკუთრებით მედიცინის მიმართულებით, უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი დამატებითი მასალის შესწავლისად ჩანს, რომ 2020 წელთან შედარებით მედიცინის პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში კლებულობს, კონტიგენტის ზრდასღან ერთად არსებობს ამ მაჩვენებლის კიდევ უფრო შემცირების რისკი.

წელი	**პროცენტული მაჩვენებელი**
2020	4,41%
2021	3,2%
2022	0,12%
2023	0,62%

1. შემუშავდეს კვლევის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

<u>2022წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა მეტწილად შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

<u>რეკომენდაცია შესრულებულია.</u> ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დამათებით იქნა მოთხოვნილი კვლევის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ამსახველი დოკუმენტი. ინსტიტუციის მიერ მოწოდებული იქნა დოკუმენტი „საქართველოს უნივერსიტეტის კვლევის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ დამტკიცებული რექტორის საბჭოს 2022 წლის 19 დეკემბრის N36/22 ოქმით, სადაც დეტალურადაა აღწერილი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულ თაახვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და მისიასთან.

2. ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეფექტურობის მონიტორინგი.

<u>2022წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტურობის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო-სამეცნიერო დარგში პრორექტორი და აკადემიური საბჭო, ვის წინაშეც არიან ისინი ანგარიშვალდებული. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ყოველწლიურად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მისი საქმიანობის შედეგებსა და უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის კვლევის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022
- ინტერვიუირების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მედიცინის სტუდენტთა უფრო მაღალი ჩართულობა კვლევაში.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

<u>2021 წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაცია:</u>

1. **კვლევით პროექტების შერჩევისა და დაფინანსებისთვის, ასევე სხვა კვლევითი საქმიანობისთვის, შემუშავდეს გამჭვირვალე პროცედურები, მკაფიო კრიტერიუმებით.**

<u>2022წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

რეკომენდაციის სრულყოფილად შესრულების მიზნით, „საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებას“ დაემატა 241 მუხლი (დოქტორანტისთვის გრანტის გაცემის წესი) სადაც დეტალურად განისაზღვრა სადოქტორო პროგრამის სტუდენტზე გრანტის გაცემის წესი (პროცედურები), ვადები, საფუძვლები და ა.შ. შესაბამისად გაუქმდა მანამდე მოქმედი „საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების“ დანართი N13 (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 ოქტომბრის N 66/18 ოქმით)

2. **გაფართოვდეს საერთაშორისო კავშირები დაწესებულების კვლევების (თუნდაც ზოგიერთ) სფეროში.**

<u>2022წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

გაიზარდოს საქართველოს უნივერსიტეტის მკვლევარების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო ღონისძიებებში და რჩებიან პარტნიორ უნივერსიტეტებში, საერთაშორისო კომპონენტების შემდგომი ინტეგრირების მიზნით.

<u>2022წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად</u> უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე.

დამატებით, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია „საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული გეგმა; • ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022 • ინტერვიუირების შედეგები • „საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო- კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია“.
რეკომენდაციები:
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 2021 წელს, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაცია: 1. **წახალისდნენ და საშუალება მიეცეთ თანამშრომლებს, სადოქტორო კანდიდატებს და მაგისტრანტებსაც კი, უფრო რეგულარულად გამოაქვეყნონ კვლევითი საქმიანობის შედეგები საერთაშორისო რეცენზირებულ ჟურნალებში.** 2022წელს მოცემული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად უნივერსიტეტის მიერ ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ დასკვნის საფუძველზე. 2021 წელს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ დასვკანში გაცემული რეკომენდაციები: 1. **მოხდეს კვლევითი აქტივობების სწავლების პროცესში ინტეგრირება განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე და გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა (განსაკუთრებით მედიცინის მიმართულებით);**

რეკომენდაცია შესრულებულია - უნივერსიტეტის ყველა აფილირებული აკადემიური პერსონალი და მკვლევარი ვალდებულია გარდა სწავლის პროცესისა, ჩართული იყოს მინიმუმ ერთ 3 (სამი) წლიან კვლევით პროექტში, როფორც ფუნდამენტურ, ასევე გამოყენებით კვლევებში. გარდა ამისა, მკვლევარები მონაწილეობენ როგორც შიდასაუნივერსიტეტო, ასევე გარე საგრანტო კონკურსებში. კვლევის მიღებული შედეგები ქვეყნდება სამეცნიერო კვლევის, მონოგრაფიის ან პუბლიკაციების ფორმით როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზებში ინტეგრირებულ ჟურნალებში.

2. **მოხდეს უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმის დახვეწა მიმართულებების საჭიროებების გათვალისწინებით h-ინდექსის, i10-ინდექსის მითითებით;**

რეკომენდაცია შესრულებულია - უნივერსიტეტში შემუშავებულია „სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მაისის N 32/19 ოქმით). სამეცნიერო პუბლიკაციების კუთხით, საქართველოს უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს პუბლიკაციებს, რომლებიც აისახება მსოფლიოს წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში - Scopus-სა და Web of Science-ში. სარეიტინგო სისტემებიც ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო ბაზებში აღრიცხული პუბლიკაციების შეფასებას. 2020 წლის 23 დეკემბრიდან 2023 წლის 10 აგვისტომდე, სამ წელიწადზე მცირე ვადაში, UG-სთან აფილირებული პროფაილების ციტირებების ჯამმა განიცადა 231%-იანი ზრდა: 70,504 ციტირებიდან 233,461-მდე.

3. **ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო წესი თუ რამდენი დოქტორანტი შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელს მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით;**

რეკომენდაცია შესრულებულია - ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდასაუნივერსიტეტო წესი. აღნიშნული წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის „დოქტორანტურის დებულების“ მე-15 მუხლის 1^1 პუნქტით, რომლის მიხედვითაც, დოქტორანტის ხელმძღვანელს უფლება აქვს მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 დოქტორანტს.

4. **დაიხვეწოს დოქტორანტურის სწავლების დებულების გრანტის გაცემის წესი ვადებისა და კრიტერიუმების კუთხით კონკრეტული მიმართულებების საჭიროებიდან გამომდინარე და შემუშავდეს სტრატეგია აღნიშნული წესის გამართვისა სტუდენტების კონტინგენტის ზრდის საკითხიდან გამომდინარე;**

რეკომენდაცია შესრულებულია - „საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებას“ დაემატა 24^1 მუხლი (დოქტორანტისთვის გრანტის გაცემის წესი) სადაც დეტალურად განისაზღვრა სადოქტორო პროგრამის სტუდენტზე გრანტის გაცემის წესი (პროცედურები), ვადები, საფუძვლები და ა.შ. შესაბამისად გაუქმდა მანამდე მოქმედი „საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების“ დანართი N13 (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 ოქტომბრის N 66/18 ოქმით).

5. **დაიხვეწოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, შერჩევის, სწავლების პროცესში ჩართვისა და შენარჩუნების სტრატეგია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტური კონტინგენტის ზრდის ამოცანიდან გამომდინარე.**

რეკომენდაცია შესრულებულია - საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა გულისხმობს განათლების და კვლევის ინტეგრირებას. უნივერსიტეტში მოქმედებს ახალგაზრდა კადრების სამეცნიერო კვლევაში ჩართვის მხარდამჭერი სისტემა, რომელიც გულისხმობს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების მოზიდვას და ჩართვას უნივერსიტეტის სამეცნიერო-

კვლევით საქმიანობაში. ამ ამოცანის გადასაწყვეტად უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია „საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2022 • ინტერვიუირების შედეგები • პრემიის გაცემის წესი; • გრანტის გაცემის წესი;
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
რეკომენდაცია 1. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უფრო ზუსტად და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით (ლაბორატორიების რაოდენობა და ფართი, კლინიკების რაოდენობა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა) დაითვალოს საგანმანათლებლო პროგრამების, განსაკუთრებულად საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების საჭიროებები და შეუსაბამოს ის სტუდენტების გაზრდილ კონტინგენტს;

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია შემდეგი ინფრასტრუქტურული მონაცემები: ამ ეტაპისათვის მეოთხე კორპუსში არის 64 აუდიტორია 7 კომპიუტერული აუდიტორია; 2 მედია ცენტრი; 1 სიმულაციური ცენტრი. პირველი კორპუსი აღჭურვილია 4 აუდიტორიით; 18 ლაბორატორიით, 1 სიმულაციური ცენტრით. გოთუას კორპუსი შედგება 3 აუდიტორიისაგან, 6 ლაბორატორია; ქავთარაძის კორპუსში არის 19 აუდიტორია, 1 კომპიუტერული აუდიტორია და 8 ლაბორატორია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია მშრალი ინფორმაცია და არ ჩანს მკაფიო ანალიტიკური ანალიზი რეკომენდაციაში მოცემული კონკრეტული პარამეტრების მიხედვით, რაც ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცემა დაადგინოს უნივერსიტეტის პოტენციალი თუ რამდენად უპასუხებს სტუდენთა გაზრდილი რაოდენობის მოთხოვნებს.

რეკომენდაცია 2. რეკომენდებულია დაწესებულებამ კარგად გადახედოს მედიცინის პროგრამის პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობას (მისაღები სტუდენტების რაოდენობა, მედიცინის მიმართულებების არსებობა - ამბულატორიული, სტაციონარული მომსახურება) და დეტალურად გაწეროს და დაითვალოს ამ დაწესებულებების გამტარუნარიანობა.

უსდ მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით კოსტავას ქუჩაზე მდებარეობს ჯანდაცვის კორპუსი 1. ამ კორპუსში განთავსებულია შემდეგი ლაბორატორიები: სტომატოლოგიური სიმულაციური და პრაქტიკული ლაბორატორია. სიმულაციური ჰოსპიტალი. დიაგნოსტიკა და პროპედევტიკა /ტექნოლოგიური ლაბორატორია, რეაბილიტაციური მედ. ლაბორატორია, რეაბილიტ.ფიზ. ლაბორატორია. ოსკის კაბინეტი და ტრენინგ ცენტრი.

ქავთარაძეზე მდებარე ჯანდაცვის კორპუსში სიმულაციური ჰოსპიტალი, ფარმაციის ლაბი, ოსკის კაბინეტები, ბიომედიცინის ლაბორატორია, დამოუკიდებელი მუშაობიის სამედიცინო ლაბორატორიები, დამოუკიდებელი მუშაობის სამედიცინო ლაბორატორიები, ძილის კვლევითი ლაბორატორია, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი;

ალექსიძის ქუჩაზე მდებარეობს მესამე კორპუსი, სადაც განთავსებულია 2 სტომატოლოგიური სიმუალციური და პრაქტიკული ლაბორატორია. სიმუალციური ჰოსპიტალი / 24 საწოლი, დიაგნოსტიკა და პროპედევტიკა /ტექნოლოგიური ლაბი, რეაბილიტაციური მედ. ლაბორატორა, რეაბილიტ.ფიზ. ლაბორატორია. 5 ოსკის კაბინეტი.

ექსპერტტა ჯგუფის მიერ მოხდა ადგილზე აღნიშნული ცენტრებისა და ლაბორატორიების დათვალიერება. მუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიები აღჭურვილია შტამბეჭდავი სამედიცინო ინვენტარით, უსდ-ს არ აქვს გაკეტებული ანალიზი არსებული მატერიალური ტექნიკური ბაზა რამდენად უპასუხებს სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობს მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები
- გასაუბრების შედეგები
- უსდ მიერ წარმოდეგნილი ანგარიში
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ინვენტარის ჩამონათვალი

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ უფრო ზუსტად და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით (ლაბორატორიების რაოდენობა და ფართი, კლინიკების რაოდენობა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა) დაითვალოს საგანმანათლებლო პროგრამების, განსაკუთრებულად საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების საჭიროებები და შეუსაბამოს ის სტუდენტების გაზრდილ კონტინგენტს;

- რეკომენდებულია დაწესებულებამ კარგად გადახედოს მედიცინის პროგრამის პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობას (მისაღები სტუდენტების რაოდენობა, მედიცინის მიმართულებების არსებობა - ამბულატორიული, სტაციონარული მომსახურება) და დეტალურად გაწეროს და დაითვალოს ამ დაწესებულებების გამტარუნარიანობა.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცეს, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეს; ბიბლიოთეკა აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით, კერძოდ

კომპიუტერებით, პრინტერი, ასლის გადამღები და სკანერის აპარატი სარგებლობის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ინტერნეტით.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია. წიგანდი ფონდი ექვემდებარება განახლებას საჭიროებიდან გამომდინარე. ალბათურად შემომწდა წიგნები და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული წიგნი უსდ ჰქონდა ან წიგნად ფონდში ან ელექტრონულ საცავში.

აღსანიშნავია უსდ დიგიტალიზაციის ხარისხი. ამ მხრივ საინტერესოა ელექტრონული სილაბუსი, რომელიც მიბმულია ბიბლიოთეკასთან.

სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა.

აღნიშნულ ქვესტანდარტის ფარგლებში არ ფიქსირდება რეკომენდაცია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლილიოტეკის წარმომადგენლებთან გასაუბრება

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რეკომენდაცია 3 უნივერსიტეტის ვებგვერდი შეივსოს ყველა შესაბამისი დოკუმენტით (ასევე ინგლისურ ენაზე) და გახდეს ეს ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით პოტენციური სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა უსდ ვებგვერდი. ვებგვერდზე განთავსებულია აუცილებელი დოკუმენტები როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.ug.edu.ge/

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

საქართველოს უნივერსიტეტს აქვს ფინანსური კონტროლისა და რისკების მართვის პოლიტიკა. თუმცა, მას არ აქვს შიდა აუდიტის დეპარტამენტი. ეს იქნებოდა თავდაცვის დამატებითი ხაზი და უზრუნველყოფდა დამოუკიდებელ გარანტიას, რომ ორგანიზაციის რისკების მართვის, მმართველობისა და შიდა კონტროლის პროცესები ეფექტურად მუშაობდეს.
აუდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს უნივერსიტეტის აქტივები, ისევე როგორც შემოსავლები (რომელთა 99% სწავლის საფასურია) იზრდება და 2021 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ისინი გააგრძელებენ ზრდას. საქართველოს უნივერსიტეტის სუფთა მოგება განსხვავდება წლების მიხედვით, მაგრამ ინარჩუნებს დადებით მაჩვენებელს.

უნივერსიტეტს სკოლებს დადებითი წვლილი შეაქვს ცენტრალურ ბიუჯეტში. ამ წვლილის თითქმის 82% მოდის სამ სკოლაზე: ჯანდაცვის მეცნიერებათა სკოლა (63%), ბიზნესის და ადმინისტრაციის მეცნიერებათა სკოლა (10%) და ხელოვნების მეცნიერებათა სკოლა (9%).

აღნიშნული ქევსტანდარტის ფარგლებში რეკომენდაცია არ ფიქსირდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრების შედეგები
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

რეკომენდაციები:

.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

N	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული / აკრედიტებული	შესაბამისი გადაწყვეტილ ების თარიღი და ნომერი
1	არქეოლოგია	ქართული	არქეოლოგიის ბაკალავრი (Bachelor of Archaeology) (1001)	240	აკრედიტებული	**N81 3/29/2019**
2	არქიტექტურა	ქართული	არქიტექტურის ბაკალავრი (0731)	240	აკრედიტებული	**N39 7/12/2016**
3	აღმოსავლეთმცოდ ნეობა	ქართული	ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევების ბაკალავრი (0388)	240	აკრედიტებული	**N782154 6/24/2022**
4	ბიზნესის ადმინისტრირება	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)	240	აკრედიტებული	**N127 10/5/2018**
5	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)	240	აკრედიტებული	**N140 6/27/2019**
6	ბიზნეს ანალიტიკა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (0413)	240	აკრედიტებული	**N1665583 12/13/2022**
7	ბიზნეს ანალიტიკა	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (0413)	240	აკრედიტებული	**N1024108 08/08/2023**
8	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი (0701)	240	აკრედიტებული	**N150 02/07/2019**
9	ელექტრონული ინჟინერია	ქართული	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი (0714)	240	აკრედიტებული	**N985746 10/13/2020**
10	ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერია	ქართული	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი (0714.1.)	240	აკრედიტებული	**N1517379 11/29/2022**
11	ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერია	ინგლისური	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი (0714.1.1)	240	აკრედიტებული	**N1517382 11/29/2022**
12	ინგლისური ფილოლოგია	ინგლისური	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში (1005)	240	აკრედიტებული	**N79814 01/25/2023**
13	ინგლისური ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგიის ბაკალავრი (1005)	240	აკრედიტებული	**N78 03/28/2019**
14	ინჟინერია	ინგლისური	ინჟინერიის ბაკალავრი Bachelor of Engineering (04)	240	ავტორიზებული	**N669 11/20/2012**

15	ინფორმატიკა	ქართული	ინფორმატიკის ბაკალავრი (0401)	240	აკრედიტებული	**N367136 05/07/2020**
16	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ინგლისური	ინფორმატიკის ბაკალავრი (0401)	240	აკრედიტებული	**N72 03/26/2019**
17	ისტორია	ქართული	ისტორიის ბაკალავრი (1004)	240	აკრედიტებული	**N79 03/28/2019**
18	კომპიუტერული ინჟინერია	ქართული	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი (0714.1.2)	240	აკრედიტებული	**N1493559 11/22/2022**
19	კომპიუტერული ინჟინერია	ინგლისური	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი (0714.1.2)	240	აკრედიტებული	**N1493558 11/22/2022**
20	მათემატიკა	ქართული	მათემატიკის ბაკალავრი (0541)	240	აკრედიტებული	**N64 03/30/2020**
21	მედიცინა	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი (090101)	360	აკრედიტებული	**N45 12/07/2016**
22	პოლიტიკის მეცნიერებები	ქართული	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი (0702)	240	აკრედიტებული	**N75 03/28/2019**
23	ჟურნალისტიკა	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში (0703)	240	აკრედიტებული	**N77 03/28/2019**
24	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (0312.1.2)	240	აკრედიტებული	**N1432680 12/29/2021**
25	საექთნო საქმე	ინგლისური	საექთნო საქმის ბაკალავრი (0913)	240	აკრედიტებული	**N896808 09/25/2020**
26	საექთნო საქმე	ქართული	საექთნო საქმის ბაკალავრი (0913)	240	აკრედიტებული	**N264 12/19/2019**
27	სამართალმცოდნეობა	ქართული	სამართლის ბაკალავრი (0421)	240	აკრედიტებული	**N249 12/17/2019**
28	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის ბაკალავრი (0413)	240	აკრედიტებული	**N149 02/07/2019**
29	სტომატოლოგია	ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგი (090201)	300	აკრედიტებული	**N106 04/30/2019**
30	სტრატეგიული კომუნიკაციები	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი (0703)	240	აკრედიტებული	**N76 03/28/2019**
31	ტურიზმი	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი (BA in Tourism) (1120)	240	აკრედიტებული	**N155 05/07/2019**

32	ფარმაცია	ინგლისური	ფარმაციის ბაკალავრი (0903)	240	ავტორიზებული	**N43 12/07/2016**
33	ფარმაცია	ქართული	ფარმაციის ბაკალავრი (0903)	240	აკრედიტებული	**N63 08/31/2017**
34	ფსიქოლოგია	ქართული	ბაკალავრი ფსიქოლოგიაში (0313)	240	აკრედიტებული	**N497867 05/28/2021**
35	ქართული ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგიის ბაკალავრი (1005)	240	აკრედიტებული	**N67 03/21/2019**
36	ხელოვნებათმცოდნეობა	ქართული	ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი (Bachelor of Art History and Theory) (1007)	240	აკრედიტებული	**N71 03/26/2019**
37	ჯანდაცვის ადმინისტრირება	ქართული	მენეჯმენტის ბაკალავრი (0413)	240	აკრედიტებული	**N10 02/28/2020**
38	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (0413)	60	აკრედიტებული	**N277 12/24/2019**
39	ისტორია	ქართული	ისტორიის დოქტორი (0222)	60	აკრედიტებული	**N268 12/20/2019**
40	კომპიუტერული მეცნიერებები	ქართული	კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი (0314)	60	აკრედიტებული	**N279 12/24/2019**
41	მათემატიკა	ქართული	მათემატიკის დოქტორი PhD in Mathematics (0541)	60	აკრედიტებული	**N271 12/20/2019**
42	მასობრივი კომუნიკაცია	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი (0321)	60	აკრედიტებული	**N272 12/20/2019**
43	პოლიტიკის მეცნიერებები	ქართული	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი (0312)	60	აკრედიტებული	**N269 12/20/2019**
44	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	ქართული	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი (0919)	60	აკრედიტებული	**N278 12/24/2019**
45	სამართალმცოდნეობა	ქართული	სამართლის დოქტორი (0421)	60	აკრედიტებული	**N1054561 10/02/2020**
46	ფიზიკა	ქართული	ფიზიკის დოქტორი (0533)	60	აკრედიტებული	**N270 12/20/2019**
47	ფილოლოგია	ქართული	ფილოლოგიის დოქტორი (PhD in Philology) (0232)	60	აკრედიტებული	**N816181 08/10/2021**

48	ფარმაცევტული ქიმია	ინგლისური	ფარმაციის დოქტორი (0916)	60	აკრედიტებული	**N899000 07/18/2023**
49	მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა (დამოუკიდებელი)	ქართული	ერთსაფეხურიანი (გაიცემა სერთიფიკატი, კვალიფიკაციის მინიჭების გარეშე)	60	აკრედიტებული	**N11 03/17/2016**
50	ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია	ქართული	მენეჯმენტის მაგისტრი (0413)	120	აკრედიტებული	**N952862 08/12/2022**
51	არქეოლოგია	ქართული	არქეოლოგიის მაგისტრი (MA in Archaeology) (1001)	120	აკრედიტებული	**N556639 05/01/2023**
52	ბიზნესის ადმინისტრირება	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (02)	120	აკრედიტებული	**N128 10/05/2018**
53	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (0413)	120	აკრედიტებული	**N60 03/27/2020**
54	ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემები	ქართული	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი (040102)	120	აკრედიტებული	**N74 03/26/2019**
55	გამოყენებითი მეცნიერებები	ქართული	გამოყენებითი მათემატიკის მაგისტრი (050102) გამოყენებითი ელექტროდინამიკის მაგისტრი (050207)	120	აკრედიტებული	**N40 07/12/2016**
56	გამოყენებითი ფსიქოლოგია	ქართული	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის მაგისტრი (070702) კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი (070709) შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრი (070701)	120	აკრედიტებული	**N123 07/12/2016**
57	განათლების ადმინისტრირება	ინგლისური	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი (030108)	120	აკრედიტებული	**N37 07/12/2016**
58	გლობალური მმართველობა	ინგლისური	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი (0312)	120	აკრედიტებული	**N1162394 09/12/2022**

59	ინგლისური ფილოლოგია	ქართული	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი (MA in English Philology) (0231)	120	აკრედიტებული	**N11 02/28/2020**
60	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ქართული	ინფორმატიკის მაგისტრი (0401)	120	აკრედიტებული	**N251 12/17/2019**
61	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ინგლისური	ინფორმატიკის მაგისტრი (0613)	120	აკრედიტებული	**N73 03/26/2019**
62	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი	ქართული	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი (0619.2.2)	120	აკრედიტებული	**N936797 10/02/2020**
63	მეწარმეობა და ინოვაციები	ინგლისური	მენეჯმენტის მაგისტრი (0413)	120	აკრედიტებული	**N936235 08/09/2022**
64	ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკა	ქართული	ფიზიკის მაგისტრი (0533)	120	აკრედიტებული	**N1034095 08/11/2023**
65	რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა	ქართული	რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მაგისტრი (020204)	120	ავტორიზებული	**N651542 07/01/2021**
66	საერთაშორისო ბიზნეს სამართლის პროგრამა	ინგლისური	სამართლის მაგისტრი (06)	120	აკრედიტებული	**N38 07/12/2016**
67	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (0705)	120	ავტორიზებული	**N651542 07/01/2021**
68	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა	ქართული	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი MA in Public Health and Health Policy (0919.2.2)	120	აკრედიტებული	**N30 03/12/2020**
69	სამართალი	ქართული	სამართლის მაგისტრი (0421)	120	აკრედიტებული	**N250 12/17/2019**
70	საქართველოს ისტორია	ქართული	საქართველოს ისტორიის მაგისტრი (MA in History of Georgia) (0222)	120	აკრედიტებული	**N6 02/24/2020**
71	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის მაგისტრი (0413)	120	აკრედიტებული	**N494033 06/19/2020**
72	სამართალი და ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის მაგისტრი (0413)	120	აკრედიტებული	**N758504 07/30/2021**

73	უსაფრთხოების სწავლებები	ქართული	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი (0312)	120	აკრედიტებული	**N1162397** **09/12/2022**
74	ფარმაციის მენეჯმენტი	ქართული	ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი (020304)	120	აკრედიტებული	**N44** **07/12/2016**
75	ფარმაცია	ქართული	ფარმაციის მაგისტრი (0903)	120	აკრედიტებული	**N43** **07/12/2016**
76	ფარმაცევტული ქიმია	ინგლისური	ბიოფარმაციის მაგისტრი (0916)	120	აკრედიტებული	**N899004** **07/18/2023**
77	ქართული ფილოლოგია	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართულ ფილოლგიაში (0232.1.1)	120	აკრედიტებული	**N1684667** **12/30/2022**
78	წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა	ქართული	მათემატიკის მაგისტრი (0541)	120	აკრედიტებული	**N1193299** **12/11/2020**
79	ჯანდაცვის ადმინისტრირება	ქართული	ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი	120	ავტორიზებული	**N9** **01/21/2015**
80	ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი (04)	240	ავტორიზებული	**N20** **12/13/2012**